NEWS FEED

№3 27 დეკემბერი. 2014წ. (272)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო სტუდენტური გაზეთი

ვინ,და რატომ წავიდა - ცვლილებები მმართველ გუნდში

საკადრო ცვლილებები 5 დეკემბერს დაიწყო, როცა თანამდებობა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ზვიად ჯანყარაშვილმა დატოვა. ეს უკანასკნელი პრემიერმინისტრის ცოლის მამიდაშვილია. მან მიმდინარე წლის გაზაფხულზე ასევე ხმაურიანად დატოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა. შემოდგომიდან კი მან მმართველი პარტიის მართვის სადავეები ჩაიბარა. ჯანყარაშვილი პარტიაში პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯანყარაშვილის გადაყენება პირადად ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის სურვილი იყო და თითქოს, მას მმართველი გუნდიდან ე.წ. „კახური კლანის“ ჩამოშორება სურდა. „კახურ კლანში“ კი მოიაზრებიან ის თანამდებობის პირები, რომლებიც ოპოზიციისა და მედიის ნაწილის ინფორმაციით, პრემიერმინისტრის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის სახელთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამიტომ მის გადადგომას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

გვ. 4

„საყოველთაო ჯანდაცვის“ გამოწვევები

საქართველოში ჯანდაცვა მიეკუთვნება იმ სფეროთა რიცხვს, რომლებშიც გამუდმებით რეფორმები მიმდინარეობს. ვარდების რევოლუციის შემდეგ გამოცხადდა ე.წ „100 საავადმყოფოსა“ და „ხუთლარიანი დაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამები. ხელისუფლების კიდევ ერთხელ შეცვლას თან ახალი ინიციატივები მოჰყვა და 2013 წლის 28 თებერვალს განხორციელდა „საყოველთაო ჯანდაცვის“ პროგრამა, რომლის შედეგად ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირის ჯანმრთელობა დაზღვეულია. ეს პროექტი ინოვაციური ხასიათის იყო, თუმცა მას კრიტიკოსები დღემდე ჰყავს.

გვ. 7

როგორ “მოიპარა” სიძვირემ შობა?!

ახალი წლის დადგომასთან ერთად საგრძნობლად იზრდება ფასები პროდუქტებზე, თუმცა ამის პარალელურად, ძალიან დაბალია საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი მაშინ, როცა სამომხმარებლო კალათას კიდევ 12 პროდუქტი დაემატა. მოგეხსენებათ, ქართული საახალწლო სუფრა საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ, როგორც გამყიდველები და მყიდველები აცხადებენ, წელს პროდუქციის ნახევარსაც ვერ ყიდიან.

როცა ახალი წელი დგება, სურსათზე ფასების მაჩვენებელი პიკს აღწევს. გოჭი, ჩურჩხელა, ინდაური, გოზინაყი - ეს იმ პროდუქტების მცირე ჩამონათვალია, რომელთა გარეშეც ქართული სუფრა, ალბათ, წარმოუდგენელია, თუმცა სულ სხვა საკითხია რამდენად წვდება სამომხმარებლო კალათას საარსებო მინიმუმი.

გვ. 9

გაუფასურებული რუბლის გავლენა ქართულ ბიზნესზე

იმ კომპანიების საქმიანობაზე, რომლებიც, რუსეთში ექსპორტს ახორციელებენ. პირველ რიგში, ეს ღვინის კომპანიებს ეხება. როგორც, "დუგლაძეების ღვინის კომპანიის" გენერალური დირექტორი, ზაზა დუგლაძე ამბობს, ქართული ღვინის ინდუსტრიაში, საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა: "რუსეთის ბაზარზე, იმის მეოთხედი პროდუქცია ძლივს გადის, რაც ამ ცოტა ხნის წინ, საქართველოდან გადიოდა. რუსეთში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობაც შემცირდა და რუბლის კურსიც, იმდენად გაუფასურდა, რომ მოგებაზე ლაპარაკიც კი, ზედმეტია. ჩვენი კომპანია, ჯერჯერობით მუშაობს, არ ვჩერდებით, მაგრამ რეალიზაცია აშკარად შემცირებულია. მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც იმედი მაქვს რომ რაც რუსეთში ხდება, დროებითი მოვლენაა, ამხელა ქვეყანა, დიდხანს ვერ დარჩება სავალუტო კრიზისის მდგომარეობაში, რაც ჩვენს ბიზნესზე ძალიან ცუდად მოქმედებს."

გვ. 5

აშშ-მა რუსეთის მიმართ სანქციები გაამკაცრა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 19 დეკემბერს რუსეთის მიმართ გაამკაცრა სასაქონლო ემბარგო ყირიმის ნახევარკუნძულზე და ახალი სანქციები დაუწესა სეპარატისტულ ლიდერებს აღმოსავლეთ უკრაინაში.

ობამამ განაცხადა, რომ გასცა ბრძანება, რომელიც კრძალავს საქონლის, ტექნოლოგიებისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს ყირიმში, მისი ბრძანებისამებრს, სანქციები ეხება არა მხოლოდ ყირიმის ნახევარ კუნძულზე მოქმედ კომპანიებს, არამედ ამ კომპანიებთან დაკავშირებულ სხვა ბიზნეს ორგანიზაციებსაც.

გვ. 15

რატიფიცირება - პოზიტივი ნეგატივით



ევროპარლამენტმა საქართველო–ევროკავშირის ასოცირების რატიფიცირება მოახდინა. ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებაში სულ 623 ევროპარლამენტარი მონაწილეობდა. აქედან 490–მა მხარი დაუჭირა შეთანხმებას, წინააღმდეგი იყო 76, ხოლო 57–მა ხმის მიცემისგან თავი შეიკა.

სტრასბურგის სესიაზე საქართველოს შიგნით არსებულ მდგომარეობაზე მომზადებული რეზოლუციაც დაამტკიცეს. ევროპარლამენტმა საქართველოს მთავრობას მიმართა, გააძლიეროს სასამართლო სისტემა და გახადოს უფრო დამოუკიდებელი.

გვ. 3

ფიზიკური დაპირისპირება საქართველოს პარლამენტში

26 დეკემბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში კვოტების გადანაწილების საკითხის განხილვას საქართველოს პარლამენტში ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

ხელჩართული ჩხუბის მიზეზი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, აკაკი ბობოხიძის, გამოსვლა გახდა. ბობოხიძემ ქართული ოცნების წევრები რუსეთისაკენ სვლაში დაადანაშაულა და განცხადება გინებით დაასრულა:

„თქვენ მიექანებით დედა რუსეთისკენ და თქვენი ეს გადაწყვეტილება ძალიან კარგად პოვებს ასახვას თქვენს შეფასებაში ევროპულ ორგანიზაციებში და იმის მაგივრად, რომ გამოასწოროთ თქვენი მოქმედებებით თქვენი ცუდი რეპუტაცია ევროპაში, სამწუხაროდ, ცუდ გზას ადგახართ და მინდა გითხრათ, რომ მოვა თქვენი გაქცევის დროც და თქვენი გაქცევის დრო რომ მოვა, თქვენი დედა რუსეთი, იმ დროს, გაქცევისთვის არ ივარგებს, ხალხო! ვინ რა თქვა? თქვენი... ვინც ეგ თქვით, ბოდიშს ვიხდი საქართველოს მოსახლეობასთან. თქვენ თუ გგონიათ, ვინმეს რამეს დაგითმობთ...“.

სხდომაზე განიხილებოდა თუ როგორ უნდა მომხდარიყო კვოტების გადანაწილება ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციაში. აღნიშნული დელეგაციის შემადგენლობაში ფრაქციათა კვოტების ხელახალ განსაზღვრას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აპროტესტებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას კი მმართველი უმრავლესობა იმ გარემოებით ხსნის, რომ ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ უმრავლესობიდან გასვლის შედეგად, პარლამენტში ახალი გარემო შეიქმნა და დელეგაციაში უმცირესობასა და უმრავლესობას შორის დისბალანსი გაჩნდა.

„კვოტების გადანაწილება უნდა მოხდეს აბსოლუტურად ყველა დელეგაციაში, უკლებლივ ყველა დელეგაციაში, ახალი რეალობის გათვალისწინებით, რომ თავისუფალი დემოკრატები აღარ არიან უმრავლესობაში. ანალოგიური ცვლილებები უნდა შევიდეს პარლამენტშიც და „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველგან უნდა დააკლდეს წევრი იმიტომ, რომ ოპოზიციაში გაჩნდა ახალი ფრაქცია“, - აცხადებს თინა ხიდაშელი.

სწორედ თინა ხიდაშელის განცხადების შემდეგ გააკეთა აკაკი ბობოხიძემ განცხადება, რომლის შემდეგაც ხელჩართული ჩხუბი დაიწყო.

ჩხუბში თითქმის ყველა დეპუტატი მონაწილეობდა. მათ ფიზიკურ დაპირისპირებაში, მუშტებთან ერთად, ტექნიკური საშუალებებიც გამოიყენეს, მაგალითად, მიკროფონები, რომლებსაც ერთმანეთს ურტყამდნენ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დარბაზში სიწყნარის დამყარება ვერ შეძლო და შესვენება გამოაცხადა, რა დროსაც ჩხუბი კვლავ გაგრძელდა და უფრო გამწვავდა.

სხდომის განახლების შემდეგ უსუფაშვილმა განაცხადა, რომ მომხდარი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს:

„მე მგონი, პარლამენტში მსგავსი მოვლენები შეუძლებელია დარჩეს რეაგირების გარეშე. რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა ამოქმედდეს და ეს უნდა იყოს ცნობილი ყველასთვის, მოქალაქეებისთვის“.

სხდომის განახლების შემდეგ პარლამენტმა 79 ხმით მიიღო დადგენილება, რომლითაც ფრაქციათა წარმომადგენლობა და კვოტები ხელახლა განისაზღვრა და ცვლილების მიხედვით, ევროსაბჭოს მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ორის ნაცვლად, ერთი ადგილი ექნება. დელეგაციის ძირითად ხუთკაციან შემადგენლობაში ერთი ადგილი „თავისუფალი დემოკრატებისთვისაც“ განისაზღვრა.

ანა ლომთაძე

გორში სტალინის ძეგლი დაბრუნდება

„სანამ ცოცხალი ვარ და სანამ შემეძლება, რომ აქ თუნდაც ფორთხვით მოვიდე, მაინც მოვალ. ზოგიერთები რომ აგინებენ სტალინს, ტვინგამორეცხილები და უწიგნურები არიან“, - აცხადებს ნაზი სტეფანიშვილი.

135-ე იუბილეზე სტალინის საზოგადოებისა და კომუნისტური პარტიის წევრები, ტრადიციულად, მის სახლ-მუზეუმთან შეიკრიბნენ. ამ დღის აღსანიშნავად, გორში სტუმრები სხვადასხვა რეგიონებიდანაც ჩამოვიდნენ. შეკრებილი საზოგადოება ერთმანეთს სტალინის დაბადების დღეს ულოცავდა და მის დამსახურებებზე საუბრობდა. სტუმრებს შორის ზაურ წურწუმიაც იყო. ის სპეციალურად ამ დღისთვის გორში ნოვოსიბირსკიდან ჩამოვიდა. მისი თქმით, სტალინის მტრები უწიგნურები არიან და თუ მისი მტერი განათლებულია, ესე იგი ბოროტია და სტალინის შურს.

შეკრებილები სტალინის მონუმენტის დაბრუნებასა და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას ითხოვდნენ. სწორედ ამ მოთხოვნების საფუძველზე გაიმართა მსვლელობა მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიიდან გორის მუნიციპალიტეტის შენობამდე, სადაც სტალინის დროებით დადგმული ბიუსტი ყვავილებით შეამკეს. გორის მერი, ზურაბ ჯირკველიშვილი აქციას ტელეკომპანია „თრიალეთზე“, გადაცემა „რეალობაში“ გამოეხმაურა:

„სტალინის ძეგლის დაბრუნება ჩემს წინასაარჩევნო პროგრამაშიც ეწერა და აუცილებლად შევასრულებ დაპირებას, რაც შეეხება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, ეს ჩემი პროგროგატივა არ არის“.

შეგახსენებთ, რომ ძეგლის დემონტაჟი გორის ცენტრალური მოედნიდან, წინა ხელისუფლების დროს, 2010 წლის ივნისში განხორციელდა.

გიორგი დვალიშვილი

კახა ცხადაძე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ, ფედერაციის ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიაზე ოფიციალურად განაცხადა, რომ ბაქოს „ინტერის“ მწვრთნელი, კახა ცხადაძე საქართველოს ნაკრებშიც იმუშავებს.

მას შემდეგ, რაც თემურ ქეცბაიამ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა, ამ პოსტზე აქტიურად განიხილებოდა რამდენიმე კანდიდატი: შოთა არველაძე, ალექსანდრე ჩივაძე, გია გეგუჩაძე, ვასილ მაისურაძე, კახა ცხადაძე და გიორგი დევდარიანი.

ბაქოს „ინტერის“ ხელმძღვანელობამ ცხადაძეს გერმანიისა და მალტის ნაკრებებთან გასამართი შეხვედრებისათვის საქართველოს ნაკრებში მუშაობის ნება მისცა. სეზონის ბოლოს, ქართველი სპეციალისტი ბაქოელებს დაემშვიდობება.

„დიდი მადლობა ბატონ ზვიადს ასეთი ნდობისთვის, მადლობა ყველას თბილი მიღებისთვის. მომეცა საშუალება, რომ საქართველოში დავბრუნდე, ჩემი საუკეთესო თვისებები გამოვავლინო და შევეცადო, ამ კრიზისიდან გამოვიდეთ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ და გამოვიდეთ იმ კრიზისიდან, იმ მდგომარეობიდან, რომელშიც ახლა ვართ. ამ ფეხბურთელების იმედი მაქვს. მე ადრეც ვთქვი, რომ, თუ მოვიდოდი, იმედი მექნებოდა. მინდა ფეხბურთელებს აქედანვე დავუანონსო, რომ ისინი ძალიან კარგები არიან და ყველაფერი შეუძლიათ. მათ შეუძლიათ თამაშები მოიგონ და შეუძლიათ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მიიღონ მონაწილეობა”, – აცხადებს კახა ცხადაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კახა ცხადაძე საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანია. სამწვრთნელო კარიერაც საკმაოდ წარმატებული აქვს. მან სადებიუტო სეზონშივე თბილისის „ლოკომოტივს“ ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დააკავებინა, რის შემდეგაც დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში იმუშავა თბილისის „დინამოში“ და ორჯერ მოიგო ჩემპიონატი. ბაქოს „ინტერში“ კი 2009 წლიდან მუშაობს, გუნდს აზერბაიჯანის პრემიერლიგა მოაგებინა და თასის ფინალში გაიყვანა.

ივანე მჭედლიშვილი

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

პარლამენტმა 12 დეკემბერს 2015 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. ქვეყნის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი დემოკრატების“ მხარდაჭერა ვერ მიიღო. 2015 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული სფეროებია: ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა.

82 მომხრე და არცერთი წინააღმდეგი - 2015 წლის ბიუჯეტი პარლამენტში ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე დამტკიცდა. „ნაციონალური მოძრაობა“ კენჭისყრას არ დაესწრო. ალასანიას გუნდიდან კი სხდომათა დარბაზში მხოლოდ ორი დეპუტატი, დავით ონოფრიშვილი და ირაკლი ჩიქოვანი იმყოფებოდა. თუმცა კენჭისყრისთვის რეგისტრაცია, „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად, არც მათ გაუვლიათ და დაფიქსირდა, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

დოკუმენტის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსავლები 9 მილიარდ 875 მილიონ ლარს შეადგენს. გადასახდელები კი 9 მილიარდ 575 მილიონით განისაზღვრა.

ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცებამდე მისი სამნაირი ვარიანტი განიხილეს. პირველ ვარიანტთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 140 მილიონი ლარითაა გაზრდილი და 8 მილიარდ 30 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2014 წლის გეგმურ მაჩვენებელს 800 მილიონი ლარით აღემატება.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტის თავდა-პირველი ვარიანტის თანახმად, დაგეგმილი იყო 920 მილიონი ლარის ოდენობის ახალი ვალის აღება. პარლამენტისთვის მეორედ წარდგენილი კორექტირებული ბიუჯეტის პროექტში საგარეო ვალის მოცულობა 930 მილიონი ლარით იყო განსაზღვრული, ხოლო საბოლოო ვარიანტში ეს თანხა მილიარდ 10 მილიონს შეადგენს. მთავრობა მომავალი წლისთვის 356 მილიონის გასტუმრებას გეგმავს.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ზურაბ მელიქიშვილი ამბობს, რომ ეს ბიუჯეტი ითვალისწინებს მილიარდ 300 მილიონიან ვალს, მათ შორის, საუბარია კერძო ბანკებიდან აღებულ მაღალპროცენტიან ვალზეც.

„ეს არ არის ბიუჯეტი, რომელიც ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს არ არის ბიუჯეტი, რომელიც დასაქმებას შეუწყობს ხელს, ამიტომ ჩვენ მას მხარს არ დავუჭერთ“.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტულ სფეროებად, ისევე, როგორც 2014 წელს, კვლავ რჩება ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა.

2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 127 მილიონი ლარით იზრდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება. 125 მილიონი ლარით იზრდება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება – 99,6 მილიონი ლარით.

„თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის ირაკლი ჩიქოვანის თქმით, ბიუჯეტის ორიენტირება სოციალურ პროექტებზე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოს ვალდებულებაა, საზოგადოებას ყოფა შეუმსუბუქოს:

„2014 წლის ბიუჯეტის პირობებში, როდესაც ასობით მილიონი ლარი ჯერ კიდევ აუთვისებელია, რამაც გამოიწვია ნაკლები სამუშაო ადგილის შექმნა, ჩვენ ვერ ვიქნებით პასუხისმგებელი იმაზე, რომ დაგეგმილი ბიუჯეტი 2015 წელს შესრულდება“.

უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე აცხადებს, რომ 2015 წლის ბიუჯეტი არის უკეთესი, ვიდრე ეს იყო 2013 და 2014 წელს:

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ქვეყნის პარლამენტმა მიიღო მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ვერ ვიტყვი, რომ სანაქებო და საამაყოა, თუმცა შექების ღირსი არის, რადგან ყველა მოთხოვნა, რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო, გათვალისწინებულია“.

გაზრდილი ადმინისტრაციული და სახელფასო ხარჯები, 280 მილიონით მეტი ვალი, ვიდრე პროექტის საბოლოოდ კორექტირებამდე იყო და 10 ლარიანი დანამატი პენსიას – ასე გამოიყურება მომავალი წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. ოპოზიციის გათვლით, ლარის გაუფასურებისა და საარსებო მინიმუმის გაზრდის პირობებში, პენსიონერები რეალურ შეღავათს ვერ იგრძნობენ.

ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, პენსიის 10 ლარით გაზრდა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლებას ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა საარსებო მინიმუმიც დაბალი იყო.

„160-ლარიანი პენსია აღარ არის საკმარისი პენსიონერებისათვის. რატომ? იმიტომ რომ, ძირითადად, ეს თანხები იხარჯება სურსათზე, მედიკამენტებზე და ორივე მიმართულებით აღინიშნება ფასების ზრდა“, – განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზაზა ჯაფარიძემ.

მომავალ წელს, 2014 წელთან შედარებით, სოციალური დაცვისა და პენსიის უზრუნველყოფისთვის 70 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება. ხელისუფლება ამბობს, რომ 10-ლარიანი დანამატი მხოლოდ ნაწილია იმ სოციალური პაკეტისა, რომელიც პენსიონერების მდგომარეობას გააუმჯობესებს.

„პენსიონერთათვის დანახარჯები არის მნიშვნელოვნად ნაკლები, ვიდრე აქამდე იყო. გეგმური მომსახურების შემთხვევაში, მათთვის 12 ათასიანი ლიმიტია. ასევე სასწრაფო გადაუდებელ შემთხვევაზე არის 15 ათასიანი ლიმიტი“, – აღნიშნა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ.

მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება კიდევ 12 მილიონი ლარით იზრდება, რაც იმით აიხსნება, რომ ამ თანხაში კრიზისების მართვის ეკონომიკური საბჭოსა და ბიზნესომბუდსმენის ბიუჯეტიც შედის.

ადმინისტრაციის უფროსის მაია ცქიტიშვილის თქმით, ბიუჯეტზე დამატებულია კიდევ საერთაშორისო განათლების ცენტრის საგრანტო თანხა, რომლითაც დაფინანსდებიან სტუდენტები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიაჩნია, რომ მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს 2013-2014 წლების გამოცდილება და ხარჯების ათვისებაში შეფერხებებზე დროულად იზრუნოს და განახორციელოს პოლიტიკის ადეკვატური ცვლილებები, აღმოფხვრას ის მიზეზები, რის გამოც ინფრასტრუქტურის სამუშაოებზე 2013-2014 წლებში ვერ დაიხარჯა ასეულობით მილიონი ლარი.

ფარული მოსმენების დამტკიცების შემდეგ, პარლამენტის მთავარი განსახილველი თემა ქვეყნის ბიუჯეტი იყო. მის მისაღებად უმრავლესობის ხმათა რაოდენობაც საკმარისი აღმოჩნდა და „ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ უგულებელყოფილი ბიუჯეტი, საბოლოოდ, მაინც დამტკიცდა.

ანა ვაშაყმაძე

რატიფიცირება – პოზიტივი ნეგატივით



ევროპარლამენტმა საქართველო–ევროკავშირის ასოცირების რატიფიცირება მოახდინა. ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებაში სულ 623 ევროპარლამენტარი მონაწილეობდა. აქედან 490–მა მხარი დაუჭირა შეთანხმებას, წინააღმდეგი იყო 76, ხოლო 57–მა ხმის მიცემისგან თავი შეიკა.

სტრასბურგში ღონისძიებას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, ევროკავშირში საქართველოს ელჩი ნატალია საბანაძე და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც სტრასბურგში „ევროპის სახალხო პარტიის“ მოწვევით იმყოფებოდა. ღონისძიებას არ დასწრებია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით კი, პრეზიდენტმა ევროპარლამენტში საქართველო სწორედ ამ მიზეზის გამო წარადგინა .

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი მარგველაშვილმა ევროპარლამენტარებს რეზოლუციის მიღებისათვის მადლობა გადაუხადა.

„რეზოლუციაში საუბარია ბევრ საკითხზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, განსაკუთრებით, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და ტერიტორიულ სუვერენიტეტზე. მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთთან გააფორმა ე.წ. ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, განსაკუთრებით, ბოლო ორი თვის განმავლობაში, მძიმე მდგომარეობაშია და მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ეს რეზოლუციაში დაფიქსირდა“, - განაცხადა პრეზიდენტმა. მარგველაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ყველა პრეზიდენტის შეუქცევადი მიზანი იყო ევროპაში ინტეგრაცია.

ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს მოსახლეობას ირაკლი ღარიბაშვილმაც მიულოცა და ხელშეკრულების რატიფიცირებას ისტორიული თარიღი უწოდა.

„მადლობას ვუხდი ევროპარლამენტს იმ მონაცემებისათვის, რაც ტაბლოზე დაფიქსირდა და ქვეყანა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ევროპას კიდევ უფრო დაუახლოვდეს“, - განაცხადა პრემიერმა.

გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მიულოცა და განაცხადა, რომ საქართველომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რაც ქვეყანას მიიყვანს ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლამდე.

სტრასბურგის სესიაზე საქართველოს შიგნით არსებულ მდგომარეობაზე მომზადებული რეზოლუციაც დაამტკიცეს. ევროპარლამენტმა საქართველოს მთავრობას მიმართა, გააძლიეროს სასამართლო სისტემა და გახადოს უფრო დამოუკიდებელი.

ანალიტიკოსების აზრით, ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიის განმტკიცებასა და ეკონომიკურ განვითარებაში დაეხმარება. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე News.ge-სთან საუბარში აცხადებს:

„ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველოს უფრო მეტი მოვალეობა ეკისრება და კიდევ უფრო მეტი მოეთხოვება ქართულ დემოკრატიას. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ იქნება კიდევ უფრო მეტი კრიტიკა და შენიშვნები, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კრიტიკა მეგობრული იქნება. მთავრობამ ეს ყველაფერი საქმიანად, მშვიდად და კონსტრუქციულად უნდა მიიღოს“.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დირექტორის სერგი კაპანაძის განცხადებით კი, რეზოლუციის ტექსტი ძალიან კრიტიკულია მთელ რიგ მოთხოვნებში, მაგრამ ეს მაინც ქვეყნისათვის პოზიტიური რეზოლუციაა, რადგან მასში საუბარია ქვეყნისათვის ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, ჩვენს ევროპულ პერსპექტივებზე.

საქართველოსა და ევროპას შორის მოლაპარაკები ოფიციალურად 2010 წელს დაიწყო. მოლაპარაკებების პროცესში 14 პლენარული სესია გაიმართა: 6 რაუნდი ყოვლისმომცველ, თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე და 100–მდე ვიდეოკონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის თავებსა და DC FTA-ზე. მოლაპარაკებები 2013 წლის ივლისში დასრულდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება 1000–მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300–მდე სამართლებრივ აქტთან.

საქართველოს მიმართ რეზოლუციის სრულად ამოქმედებამდე ანალოგიური პროცედურა კიდევ 17 ქვეყანას აქვს გასავლელი, თუმცა სტრასბურგში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ ეს პროცესი უკვე შეუქცევადია.

სოფიკო ქარცივაძე

ვინ, სად და რატომ წავიდა - ცვლილებები მმართველ გუნდში

გასული კვირა მმართველი გუნდის არაერთი მაღალჩინოსნისთვის თანამდებობაზე ყოფნის უკანასკნელი კვირა აღმოჩნდა. შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალური ინსპექციის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს უფროსი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, გურიის გუბერნატორი, პრემიერმინისტრის ეკონომიკური მრჩეველი - ეს იმ თანამდებობათა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც გასული კვირის განმავლობაში ვაკანტური გახდა.

საკადრო ცვლილებები 5 დეკემბერს დაიწყო, როცა თანამდებობა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ზვიად ჯანყარაშვილმა დატოვა. ეს უკანასკნელი პრემიერმინისტრის ცოლის მამიდაშვილია. მან მიმდინარე წლის გაზაფხულზე ასევე ხმაურიანად დატოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა. შემოდგომიდან კი მან მმართველი პარტიის მართვის სადავეები ჩაიბარა. ჯანყარაშვილი პარტიაში პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის მთავარ დასაყრდენად მიიჩნეოდა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯანყარაშვილის გადაყენება პირადად ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის სურვილი იყო და თითქოს, მას მმართველი გუნდიდან ე.წ. „კახური კლანის“ ჩამოშორება სურდა. „კახურ კლანში“ კი მოიაზრებიან ის თანამდებობის პირები, რომლებიც ოპოზიციისა და მედიის ნაწილის ინფორმაციით, პრემიერმინისტრის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის სახელთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამიტომ მის გადადგომას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

„რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლისა და საქართველოს პარლამენტის წევრის, დავით ბერძენიშვილის განცხადებით, ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე საკადრო ცვლილებებს მისი პარტია განიხილავს, როგორც ეფექტურობისა და გაუმჯობესების მცდელობას. როგორც ის აღნიშნავს, მთავრობაში რაიმე სახის კლანის, მათ შორის, ე.წ. „კახური კლანის“ არსებობა გამორიცხულია.

ჯანყარაშვილის შემდეგ თანამდებობების დატოვების ტალღამ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუარა. 11 დეკემბერს მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა გიორგი ზედელაშვილმაც, რომელიც ზვიად ჯანყარაშვილის ნათესავია. პორტფელს გამოემშვიდობა გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ირაკლი სამყურაშვილიც. რაც შეეხება მათ შემცვლელებს, პირველი მოადგილის პოსტი ვახტანგ გომელაურმა დაიკავა. ის 2012 წლამდე ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი იყო. ხოლო გენერალური ინსპექციის ახალ ხელმძღვანელად იოსებ გოგაშვილი დაინიშნა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს უკანასკნელიც ივანიშვილის კადრად მოიაზრება.

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, გიორგი ზედელაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან ერთად, კრიმინალურ პოლიციაში თანამდებობა ათზე მეტმა მაღალჩინოსანმა დატოვა. სამსახურიდან გათავისუფლებულია სუს-ის უფროსი მალხაზ ჩიკვილაძე და მისი მოადგილე დავით მხეიძეც.

11 დეკემბერს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამთავრობო ცვლილებებს სპეციალური ბრიფინგით გამოეხმაურა.

პრემიერის თქმით, მას ზვიად ჯანყარაშვილი ნათესაობის გამო არ შეურჩევია. მისი მტკიცებით, ჯანყარაშვილი ეფექტური მენეჯერი და ერთგული კადრია. პრემიერმინისტრის განმარტებით, ჯანყარაშვილმა თანამდებობა ორივეჯერ იმიტომ დატოვა, რომ მის მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებები ისმოდა.

„მე არასდროს დამიმალავს, რომ ზვიად ჯანყარაშვილი ჩემი ნათესავი იყო. ჩვენ შევედით ურთულეს დროს, ურთულეს სამინისტროში, შსს არის ძალიან რთული სამინისტრო. 6 თვის განმავლობაში ჩვენ, დაახლოებით, 1500 ადამიანი გადავაადგილეთ და 3-ჯერ შევცვალეთ კადრები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მარტივი საქმეა, ძალიან ცდება. ძალიან რთული მუშაობა გავწიეთ. მათ შორის იყო ზვიადი, რომელიც ერთგულად მედგა გვერდში“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსად ანზორ ჩუბინიძე წარადგინა. მას აღნიშნული პოსტი ადრეც ეკავა, თუმცა გაზაფხულზე პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგა. ჩუბინიძე ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი უფროსია. პრემიერის შეფასებით, საკადრო ცვლილებები ნორმალური პროცესია და ამ საკითხის ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირება არასწორია.

ცვლილებების მესამე ტალღა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეეხო. მინისტრ დავით შავლიაშვილის პირველი მოადგილის პოსტს, ზურაბ კოპაძის ადგილს, ბანკ „ქართუს“ ხელმძღვანელი ნოდარ ჯავახიშვილი დაიკავებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მთავრობა იმით ხსნის, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს მომავალი წლიდან დიდი და მასშტაბური სამუშაოების განხორციელება მოუწევს. სამინისტროს ბიუჯეტი კი მილიარდ ლარს შეადგენს, შესაბამისად, ზურაბ კოპაძის ნაცვლად, მინისტრის მოადგილის პოსტს დაიკავებს ნოდარ ჯავახიშვილი. მას საზოგადოება კარგად იცნობს. თავად ჯავახიშვილის თქმით, იგი საჯარო სამსახურში ტენდერების შესწავლის მიზნით მიდის.

სამთავრობო ცვლილებებს აფასებს ექსპერტი გია ხუხაშვილი. მისი თქმით, ხელისუფლების ავტორიტეტი მთლიანად დგას ბიძინა ივანიშვილის პერსონაზე, ამიტომ ექსპრემიერის მიერ არაფორმალური ძალაუფლების ფლობა ლოგიკურია. ექსპერტის აზრით, ხელისუფლების წევრები არ ფლობენ კრიზისების მართვის სრულფასოვან ინსტრუმენტებს და მიჩვეულები არიან კომფორტს, რომ პასუხისმგებლობა ივანიშვილს გადააბარონ.

ექნება თუ არა გაგრძელება საკადრო ცვლილებებს და გაამართლებენ თუ არა მთავრობის მეთაურის ნდობას ახალი ჩინოვნიკები, ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი თბილისის მერიაში მთავარი პროკურატურის საგამოძიებო სამსახური თბილისობასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერების საქმეს სწავლობს.

გიორგი ბენაშვილი

ევროპული გაკვეთილი 2014 წლის ბოლოს

საქართველოს შესახებ მომზადებული რეზოლუცია ევროპარლამენტმა 18 დეკემბერს 491 ხმით დაამტკიცა. რეზოლუცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, სასამართლო სისტემას, რეფორმებსა და ოკუპირებულ რეგიონებს ეხება. კენჭისყრაზე რეზოლუციას მხარი 638 დეპუტატიდან 491-მა დაუჭირა, წინააღმდეგი კი 84 დეპუტატი იყო, ხოლო თავი შეიკავა 63-მა.

შეასწორეს რეზოლუციის რამდენიმე პუნქტი. მე-11 პუნქტში შესული შესწორების მიხედვით, ევროპარლამენტი გმობს რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული განვითარების“ შესახებ გაფორმებულ შეთანხმებას და ამას რუსეთის მიერ აფხაზეთის სრული ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს. ევროპარლამენტი მოუწოდებს რუსეთს, სრულად სცეს პატივი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გააუქმოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - სამხრეთ ოსეთის - გამოყოფა და შეწყვიტოს მისი ოკუპაცია. საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ ევროპელმა კოლეგებმა კარგად იმუშავეს და მათი განცხადებები აღეკვატური იყო.

„ეს რეზოლუცია ჩემთვის და ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მასში დაგმობილია რუსეთის ქმედებები საქართველოს მიმართ, კერძოდ, აფხაზეთთან ე.წ. შეთანხმების გაფორმება“.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი რეზოლუციის ტექსტს დადებითად აფასებს. იგი მიიჩნევს, რომ დოკუმენტში საკითხები სწორადაა დასმული და საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით მხარდაჭერა ღიადაა გამოხატული. ხიდაშელმა განაცხადა, რომ „ევროპის პარლამენტმა სრულიად მოსალოდნელი რეზოლუცია მიიღო. ეს არის ძალიან ღია მხარდაჭერა. ევროპარლამენტი საუბრობდა იმაზე, რომ ამ კომისიამ ვადის ამოწურვამდე საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან პროცესი უნდა დაასრულოს“.

ასევე შესწორდა რეზოლუციის მე-15 პუნქტიც, სადაც აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტი შეშფოთებას გამოხატავს წინა მთავრობისა და მოქმედი ოპოზიციის რამდენიმე წევრის გასამართლების, დაპატიმრებისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო. უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ რეზოლუციის ტექსტი შეაფასა და ხელისუფლებას ევროპარლამენტის რეზოლუციაში ასახული პუნქტების გათვალისწინება ურჩია. მან განაცხადა, რომ მთავრობამ წინასწარი პატიმრობიდან უნდა გაათავისუფლოს ყოფილი მაღალჩინოსნები და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას ევროინტეგრაციისკენ.

„ეს არის მხოლოდ გზის დასაწყისი და დარჩენილი გზის წარმატებულად გავლა მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და ხელისუფლების მზადყოფნაზე, გაიზიაროს და შეასრულოს ეროკავშირის რეკომენდაციები. ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია უკავშირდება პოლიტიკურ დევნას და მოვუწოდებ ხელისუფლებას გადადგას პირველი ნაბიჯი ამ პრობლემის მოსაგვარებლად“.

რეზოლუციის ტექსტში ასევე ნათქვამია, რომ ყველა სამართლებრივი დევნა უნდა იყოს გამჭვირვალე, პროპორციული და პოლიტიკური მოტივებისგან თავისუფალი, მკაცრად ემორჩილებოდეს საგამოძიებო პროცედურებს, წარიმართოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრული დაცვით, როგორც ეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით არის გათვალისწინებული. საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში სასამართლო განმტკიცდება:

„იმედი მაქვს, ვიპოვით პოლიტიკურ ბალანსს. სასამართლო გახდება უფრო დამოუკიდებელი. ამისათვის ბევრი რამ გაკეთდა და გვაქვს წინსვლა. თუმცა ეს საკმარისი არ არის. ვფიქრობ, გავაგრძელებთ ამ მხრივ მუშაობას“.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი ეთანხმება ევროპარლამენტის მიერ მომზადებულ რეზოლუციაში დაფიქსირებულ რეკომენდაციას, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმა დასაჩქარებელია. როგორც კუბლაშვილმა განაცხადა, ერთ-ერთი საკითხი, რასაც რეფორმა უნდა შეეხოს, მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნაა. იგი მიიჩნევს, რომ გამოსაცდელი ვადები უნდა გაუქმდეს:

„ეს უნდა იყოს რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობს პოლიტიკური ხელისუფლების ძალიან დიდი ნაწილი და ეს არის განსხვავება ჩვენ შორის. ყველა მოსამართლის აზრია, რომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადა არის დიდი საფრთხე მათი დამოუკიდებლობისთვის. ასე რომ, რეფორმის პროცესში ერთ-ერთი საკითხი სწორედ ეს უნდა იყოს“.

22-ე პუნქტში ხაზგასმულია, რომ აუცილებელია ისლამოფობიისა და ჰომოფობიის ძალადობრივი ქმედების წინააღმდეგ გამოვლენილი ყველა დამნაშავე წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. ევროპარლამენტი ასევე აღნიშნავს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველომ რეფორმების კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და გააძლიერა ურთიერთობა ევროკავშირთან. ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ხელსაყრელი გარემო შექმნას თავისუფალი მედიისთვის. ტექსტში აღნიშნულია, რომ მედიას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლად და ობიექტურად მუშაობის უფლება, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის გარეშე.

რეზოლუციის ავტორი ანდრეი მამინსკი აღნიშნავს, რომ საქართველომ შეძლო უმოკლეს დროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება და ეს ქართველი ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი შედეგია. მისი თქმით, ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია რეკომენდაციის ხასიათისაა და გაითვალისწინებს თუ არა ამ რეკომენდაციას ქვეყანა, ეს სახელმწიფოს გადასაწყვეტია.

„საქართველომ აჩვენა, რომ ამბიციური მიზნების მიღწევა შესაძლებელია. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რაც საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ხალხმა შეძლო, მათ მნიშვნელოვანი რეფორმები მოკლე დროში გაატარეს. ძალიან რთულია დაარწმუნო საზოგადოება, ბიზნესი და პოლიტიკური ელიტა სწრაფი, მტკივნეული რეფორმების აუცილებლობაში. ზოგიერთ ქვეყანას 10 წელი დასჭირდა ამ რეფორმების განსახორციელებლად, რაზეც საქართველომ ბევრად ნაკლები დრო დახარჯა“.

ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად, საქართველოს, როგორც ნებისმიერ სხვა ევროპულ სახელმწიფოს, აქვს ევროპული პერსპექტივა და უფლება, გამოთქვას ევროკავშირის წევრობის სურვილი, დაიცვას დემოკრატიის პრინციპები და უზრუნველყოს კანონის თავისუფლება.

რეზოლუცია მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეფორმებს, რომლებიც მიმართულია სტაბილურობისა და დამოუკიდებლობისკენ. დოკუმენტი ასევე მხარს უჭერს საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დროულად შემოღებას და დადებითად აფასებს საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში. რეზოლუციაში მოცემული რეკომენდაციები საქართველოს დაეხმარება რეფორმების გაძლიერებაში.

მარიკა ფირცხალავა

სამშენებლო სექტორი ვითარდება

სამშენებლო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი დარგია. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში, ყოველწლიურად იზრდება. გარდა ამისა, ეს სექტორი არის საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელი.

2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა, ბიზნეს სექტორის კრიზისი გამოიწვია. გამონაკლისს, არც სამშენებლო კომპანიები წარმოადგენდა. გაკოტრდა არაერთი კომპანია, ფაქტობრივად, მრავალი მშენებლობა შეჩერდა. თუმცა, საქსტატის მონაცემები საიმედოა და ამ სექტორის პროგრესზე მიუთითებს. მათი მონაცემებით, საქართველოში 2008 წელს ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში (ძირითადი კაპიტალი), სამშენებლო დარგში- 142.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო, 2013 წლის მონაცემებით- 343.5 მლნ ლარი. ასევე საქსტატის ინფორმაციით, ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობა, თითქმის, 2-ჯერ აღემატება 2008 წლის მონაცემებს.

2014 წლის მესამე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი სწორედ მშენებლობაზე მოდის. ამ პერიოდში, სამშენებლო სექტორში, სულ- 181 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მთლიანი ინვესტიციების 36%-ს შეადგენს.

კომპანია „აქსისის“ გენერალური დირექტორი, გიორგი კაპანაძე bpn.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ "ზრდა აშკარაა და ამას ვერავინ უარყოფს. მარტო ჩვენს მაგალითს გეტყვით- მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში -12,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოვიზიდეთ და უახლოეს თვეებში, კიდევ ველოდებით 8,5 მილიონ დოლარს. აქვე, უნდა გითხრათ, რომ 2008 წელმა, სამშენებლო ბიზნესის სტრუქტურა თავდაყირა დააყენა და თუ მანამდე თითქმის ყველა კომპანია, წინასწარ გაყიდვებზე იყო დამოკიდებული, ეს ტენდენცია ახლა რადიკალურად შეიცვალა, - დღეს ჩვენ წინასწარ გაყიდვებზე აღარ ვართ დამოკიდებული, რადგან, დაფინანსებას სხვადასხვა წყაროებიდან მოვიზიდავთ, მიუხედავად ამისა, ბინები წინასწარ მაინც გვეყიდება".

"საქართველოს მენაშენეთა ასოციაციის" ხელმძღვანელი, ირაკლი როსტომაშვილი მიიჩნევს, რომ სამშენებლო სექტორის ბუმი თუ იქნება, ეს მხოლოდ უცხოურ კომპანიებს შეეხება, რადგან, საქართველოში, არაერთი უცხოური კომპანია საქმიანობს. მომავალშიც, ალბათ, უცხოური კომპანიები მომრავლდებიან და არა - ქართული. სამწუხაროდ, ქართულ კომპანიებს არ აქვთ ისეთი დაფინანსება, რომ ჩინურ და აზერბაიჯანულ სამშენებლო ფირმებს კონკურენცია გაუწიონ. მათ დაფინანსებაც უკეთესი აქვთ და საკუთარი კაპიტალიც. მათი შემოსავალი ბევრად აღემატება, ქართული კომპანიების შემოსავალს.

ადვილი მისახვედრია, თუ ვინ უფრო კარგად იგრძნობს თავს ბაზარზე. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკისთვის, მნიშვნელოვანია, ინვესტიციები არ შემცირდეს და სამშენებლო სექტორი განვითარდეს. 2008 წლის შემდეგ გარემო უფრო სტაბილური და უცხოელი ინვესტრებისთვის მიმზიდველი გახდა. პროგრესიც, შესაბამისად, შესამჩნევია, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკაზე დიდ გავლენას ჯერ კიდევ ვერ ახდენს.

"ისტ-გეით ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი იაშვილის აზრით, სამშენებლო სექტორი 2006-2007 წლებში, მართლაც, ვითარდებოდა და ამის მიზეზად საბანკო სექტორს ასახელებს. რადგან, სწორედ, საბანკო სექტორზე იყო მიბმული სამშენებლო ბიზნესი. ბანკები უფინანსებდნენ კომპანიებს მშენებლობას და ფიზიკურ

პირებს უძრავი ქონების შესყიდვასა და რემონტს.

ირაკლი იაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, არა რომელიმე ცაკლეული დარგის, არამედ, თავად ეკონომიკის განვითარება და წინსვლაა მთავარი. სამშენებლო სექტორი ეკონომიკის, მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. თანაც ეს დარგი, ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობას გრძელვადიანი სამუშაო ადგილებით.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და ბიზნესგარემოს ცვალებადობა ამაზეცაა დამოკიდებული. ქვეყნის საგარეო ურთიერთობებიც, დიდ გავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვაზე, სწორედ, ამან გამოიწვია 2008 წლის კრიზისი. თუმცა, სტატისტიკური მონაცემები და უკვე დასრულებული მშენებლობები მოწმობს, რომ სამშენებლო სექტორი ვითარდება, რაც მთლიანად, ბიზნეს სექტორსა და ქვეყნის ეკონომიკაზე აისახება.

ნარიტა ჩხაიძე

გაუფასურებული რუბლის გავლენა ქართულ ბიზნესზე

მსოფლიო ბაზარზე დოლარი ეროვნულ ვალუტასთან მიმართებით, გამყარებას განაგრძობს. ეს პროცესი კი, განსაკუთრებით, რუსეთის ეროვნულ ვალუტაზე აისახა. ამას ემატება, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები, რამაც, რუსეთის ეკონომიკის ზრდის შეჩერება გამოიწვია. ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა შემცირდა, სამაგიეროდ, გაიზარდა ინფლაციის დონე, რუსული რუბლი 1998 წლიდან მოყოლებული, ასეთ დაბალ ზღვარზე არ ყოფილა.

მსოფლიო ბაზარზე, ნავთობის ფასის ვარდნამ, დიდი დარტყმა მიაყენა რუსულ ფულს, რაც შეეხება, სანქციების შედეგად მიღებულ ზიანს, ეს რუსეთს მილიარდობით დოლარი უჯდება. რამდენიმე დღის წინ, რუსეთში არსებული სავალუტო კრიზისის გამო, ფასების გადახედვამდე, რუსეთში ავტომობილების მიწოდება შეაჩერეს, ისეთმა მსხვილმა ავტოკომპანიებმა, როგორებიც: "ფოლკსვაგენი", "ბენტლი" და "იაგუარი" არიან. რუსეთის მაღაზიებში საკუთარი პროდუქციის გაყიდვები, ბაზრის ისეთმა მსხვილმა მოთამაშეებმა შეაჩერეს, როგორიც კომპანია - "ინდიტექსია", რომელიც: "ზარას", "ბერშკასა" და "ოიშოს" აერთიანებს, ასევე: "კელვინ კლაინის", "არმანი ჯინსის", "მაიკლ კორსისა" და "ტოპშოპის" ქსელის მმართველმა კომპანია- BNS Group-მა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კრიზისი, ჩვენს ეკონომიკაზეც ახდენს გავლენას და უარყოფითად აისახება, იმ კომპანიების საქმიანობაზე, რომლებიც, რუსეთში ექსპორტს ახორციელებენ. პირველ რიგში, ეს ღვინის კომპანიებს ეხება. როგორც, "დუგლაძეების ღვინის კომპანიის" გენერალური დირექტორი, ზაზა დუგლაძე ამბობს, ქართული ღვინის ინდუსტრიაში, საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა: "რუსეთის ბაზარზე იმის მეოთხედი პროდუქცია ძლივს გადის, რაც ამ ცოტა ხნის წინ საქართველოდან გადიოდა. რუსეთში მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობაც შემცირდა და რუბლის კურსიც იმდენად გაუფასურდა, რომ მოგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ჩვენი კომპანია ჯერ-ჯერობით მუშაობს, არ ვჩერდებით, მაგრამ რეალიზაცია აშკარად შემცირებულია. მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც იმედი მაქვს რომ რაც რუსეთში ხდება, დროებითი მოვლენაა. ამხელა ქვეყანა დიდხანს ვერ დარჩება სავალუტო კრიზისის მდგომარეობაში, რაც ჩვენს ბიზნესზე ძალიან ცუდად მოქმედებს." ქართული ღვინის გარდა, რუსეთში მინერალური წყალი და ხილიც გადის ექსპორტზე. პრობლემები შეექმნათ და მიწოდება გაანახევრეს, ქართული მინერალური წყლისა და ხილის კომპანიებმაც. ბიზნესმენების განცხადებების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის მინისტრი მიიჩნევს, რომ რუსული რუბლის ვარდნას, ექსპორტზე უარყოფითი გავლენა არ ექნება. როგორც ოთარ დანელიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ეტაპზე ის ვერანაირ რისკებს ვერ ხედავს: "ზოგადად, რაც ხდება სამეზობლოში და რეგიონში, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ყველა ქვეყანაზე აისახება - ევროპაზეც, ჩვენს მეზობელ ქვეყნებზეც, თუმცა ამ ეტაპზე მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად ვერანაირ რისკს ვერ ვხედავთ ექსპორტის ნაწილში, პირიქით, ჩვენ უკვე გავასწარით შარშანდელი ექსპორტის მონაცემებს. ამიტომაც, გავაკეთეთ სამრეწველო გადამუშავების ციტრუსის სუბსიდირება. ჩვენ, თანმიმდევრულად ვაკეთებთ წინასწარ მოკვლევებს, დასკვნებს და ვაპირებთ, რომ რამდენადაც შეიძლება, გავაგრძელოთ ხელშეწყობის პროცესი". საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი ჯანელიძე კი ადასტურებს, რომ რუსეთში მიმდინარე პროცესები, გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე და აისახება ექსპორტზე: " რა თქმა უნდა, მიმდინარე მოვლენები უქმნის შეფერხებას და პრობლემებს ქართველ ექსპორტიორებს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად მოხდეს, ევროპულ ბაზარზე ორიენტაცია,"- განაცხადა გიორგი ჯანელიძემ, ჟურნალისტებთან საუბრისას. მეზობელი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი, უკვე ნათლად აისახა ქართულ ეკონომიკაზე, კერძოდ კი, ლარის კურსის ინფლაცია, გარკვეულწილად, დაკავშირებულია რუბლის ინფლაციასთან.

ირაკლი ლექვინიძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის, მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი არ არის, თუმცა რუსული ვალუტის ვარდნა გავლენას მაინც ახდენს, ქართულ ეკონომიკაზე: "რა თქმა უნდა, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა ექნება, მაგრამ არა ისეთი, რომ ჩვენს ეკონომიკას სერიოზული პრობლემები შეუქმნას. ეს გავლენა ზრდის ტემპებს გარკვეულწილად შეაფერხებს. საგადამხდელო ბალანსში, უკვე გარკვეული ცვლილება მოგვცა და ლარის კურსზეც აისახა".

მიუხედავად, რეგიონში შექმნილი ვითარებისა, ქართული ეროვნული ვალუტა, მეტნაკლებად ინარჩუნებს კურსს, ამის ფონზე კი, რუსული რუბლი ვარდნას განაგრძობს. ქართველ ექსპორტიორებს კი, ბიზნესის წარმოებისთვის, ან ქვეყნის შეცვლა მოუწევთ, ან რუბლის გამყარებამდე ლოდინი.

ნინო ჩუბინიძე

ბიუჯეტის მომავალი

საქართველო 2015 წელს, ახალი ბიუჯეტით შეხვდება. პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტი, სფინანსო-საბიუჯეტო სხდომაზე განიხილა, კანონპროექტის მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში, მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი გადასახადების მაჩვენებლები განისაზღვრება. ნოდარ ხადური აცხადებს, რომ პროგრამის ძირითადი მიზანია- მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ასევე მან აღნიშნა, რომ 2013-2014 წლებში, აქცენტი სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე გაკეთდა, შესაბამისად, ამ ორი სფეროს დაფინანსება გაიზარდა.

2015 წელს, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე, ერთი მილიარდი ლარით მეტი დაიხარჯება, ასევე იგეგმება, 2015-2016 წლებში, პენსიების გაზრდა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის- დახმარების გაორმაგება, სოციალური შემწეობების გაზრდა.

2014 წელს, გაიზარდა: განათლების, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რაც 2015-2016 წლებშიც გაგრძელდება. ვარაუდობენ, რომ 2015 წელს, ეკონომიკური ზრდის შედეგად, მიიღება დამატებითი საგადასახადო შემოსავლების ნაწილი, რომელიც, საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებას მოხმარდება. 2014 წლის ბოლოსთვის, საბიუჯეტო დეფიციტის მაჩვენებელი, მთლიანი შიდა პროდუქტის 3.7 % -მდე იქნება, ხოლო 2015 წლისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი 3 %-მდე შემცირდება. 2015 წელს, შემცირებულია, ვალდებულების ზრდის სახით მისაღები თანხები და გაზრდილია კაპიტალური პროექტების დაფინანსება.

განხილული კანონპროექტის მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა- 5% იქნება. მინისტრმა აღნიშნა, რომ: "საქართველო არ არის ჩაკეტილი და მოწყვეტილი გარე სამყაროსგან. ჩვენ მეზობელ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები, სამწუხაროდ, უარყოფით და ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე".

წინა წლებთან შედარებით, მთავრობის სარეზერვო ფონდი- 70 მილიონი ლარი იქნება, ხოლო პრეზიდენტის სარეზვო ფონდი- 5 მილიონი ლარი. სხვადასხვა სფეროსთვის, თანხა შემდეგნაირად არის გათვალისწინებული :

1.საპენსიო უზრუნველყოფა- 360 მილიონი ლარი

2. სოციალური დახმარება- 630 მილიონი ლარი

3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა- 20 მილიონი ლარი

4. ჯანმრთელობის დაზღვევა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა- 475 მილიონი ლარი

5. ჯანდაცვის სხვა პროგრამები- 177 მილიონი ლარი

6. სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია და აღჭურვა- 35 მილიონი ლარი

7. სხვა დანარჩენი ხარჯები- 50 მილიონი ლარი

საქართველოს 2015 წლის- „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი" საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა შეაფასა. „მივესალმები, რომ მაკროეკონომიკური მდგომარეობა, მთლიანობაში, სტაბილურია, მიუხედავად, რეგიონში მიმდინარე მოვლენებისა. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, ერთ-ერთი ყველაზე მაღალია რეგიონში, ინფლაცია ნორმალურია ჩვენი ტიპის ქვეყნებისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით, ეროვნულ ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო", - განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, ირინე იმერლიშვილმა საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა წარადგინა. ირინა იმერლიშვილის განცხადებით, პროექტის მიხედვით, 2015 წელს სამხედრო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა, არა უმეტეს, 37 ათასით განისაზღვრა.

ბიუჯეტის წარდგენასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტმა, შეერთებისთვის წარმოადგინა - „მოძრავი სატელიტური კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ" კონვენცია, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ წარმოადგინა. საქართველოს აღნიშნულ კონვენციასთან მიერთებით, საშუალება მიეცემა, ჩაერთოს გლობალური საზღვაო კავშირის სისტემის, პროვაიდერების მიერ, განხორციელებული მომსახურების მონიტორინგში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებმა, კონვენციის პლენარულ სხდომაზე, რატიფიცირებას მხარი დაუჭირეს.

საჯარო გახდა ინფორმაცია რომ, 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა, პარლამენტმა კანონპროექტი 82 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ მიიღო, ასევე დაამტკიცეს ბიუჯეტთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიც. მომავალი წლის ბიუჯეტში, ასევე ასახულია: პენსიის- 10 ლარით, 160 ლარამდე გაზრდა, რის განხორციელებასაც, მთავრობა 2015 წლის, პირველი სექტემბრიდან გეგმავს.

ეკა ლუკიანოვა-სამადაშვილი

უხილავი ადამიანები
(მოსაზრების სვეტი)

სოციალური უთანასწორობა, მთელი ქართული საზოგადოების, ცხოვრების ლაიტმოტივია. განსაკუთრებით კი, 90-იანელებისთვის. უშუქობაში, შიმშილსა და სიცივეში გაზრდილი თაობისთვის, სიღარიბე, თითქოს, მიჩვეულ ჭირად იქცა.

გულგრილი პოლიტიკოსებისა და მჩაგვრელი სისტემის პირობებში, ადამიანი ვერ იქნება უპირველესი ღირებულება და ასეც არის, ჩვენ ვხედავთ, მაგრამ ვერ ვამჩნევთ ერთმანეთს. მშვენიერი, ზოგჯერ ზედმეტად გადაპრანჭული ფასადების მიღმა, უჩინარი ადამიანები ბინადრობენ.

დღევანდელი ქართული მედიაც, ერთგვარი ფასადია, უგემოვნოდ მოკაზმული. მასკულტურაში კიჩი და სიყალბეა გაბატონებული. ხშირად ნახავთ, არფებითა და უზარმაზარი ბროლის ჭაღებით გაფორმებულ გადაცემას, რომლის დიდი დროც, "ცნობილი სახეების" პირადი ცხოვრების, დეტალებს ეხება.

ათონელის ქუჩაზე, ყოფილი სკოლის შენობაში, თვითნებურად შესახლებული 30-მდე უსახლკარო ოჯახი ცხოვრობს. ყოფილი სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, რამდენიმე საცხოვრებელში ჭერი ჩამონგრეულია და ზოგიერთ ოთახში იატაკზე გავლა სარისკოა, ზამთარში კი, შეშის ღუმელს იყენებენ გასათბობად. თითოეულ ოჯახთან სტუმრობისას, განსხვავებულ ისტორიებსა და პრობლემებს მოისმენ. მაგალითად, ერთ-ერთ ოთხსულიან ოჯახს, სოციალური დახმარება მოუხსნეს, - 315 ლარიანი სამსახურის გამო.

"ადამიანს, რომელიც კანონს არღვევს და კრიმინალია, უნდა მიხედოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. შეიჭრნენ, შენობა უკანონოდ დაიკავეს, ამიტომ, შსს-მ დღესვე უნდა გამოუშვას გარეთ." - ამ სიტყვების ავტორი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის, უკვე ყოფილი ხელმძღვანელი, გია კაკაჩია გახლავთ. როდესაც, სისტემას აკრიტიკებ, კონკრეტულ პოლიტიკოსთა შეფასება, რეაქციონიზმია და ის მხოლოდ ზოგადი პრობლემის, კერძო მაგალითად თუ გამოდგება. თუმცა, რთულია მათზე არ გაბრაზდე.

სკოლის ბინადართა ამბავში, ყველაზე ირონიული ის არის, რომ სკოლის გვერდით პრეზიდენტის, ახალი რეზიდენცია შენდებოდა, რომლის ხარჯებმაც, რამდენიმე მილიონ ლარს გადააჭარბა. შესაძლოა, სკოლაც და ირგვლივ მდებარე ძველი შენობებიც დაინგრეს, უსახლკაროებმა კი- ჯერაც არ იციან სად იპოვონ თავშესაფარი.

უსახლო ხალხისა და უხალხო სახლების ქვეყანაში- ზამთარი ახლოვდება. პრეზიდენტის მეზობლებს იმედი აქვთ, რომ წელს შარშანდელივით არ აცივდება.

ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ტრანსპორტში, ქუჩაში, თუმცა, ვერ ვამჩნევთ ერთმანეთს. ვინც სიღარიბეს გადაურჩა, თეთრსაყელოიან რობოტებად იქცნენ. ისინი განწირულნი არიან მარტოობისთვის. თუმცა მარტოობა და ეგზისტენციალური კრიზისი, სასაცილოდ მოგეჩვენება, როცა გშია.

არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დაიცავს მოქალაქეებს შრომითი ექპლუატაციისგან. ყველაზე მაღალშემოსავლიანი კომპანიები, დასაქმებულებს მინიმალურ ანაზღაურებას სთავაზობენ. რკინიგზელების, ჭიათურელი და კაზრეთელი მუშების გაფიცვები- ყოველივე ამაზე მოწმობს. აუცილებელია, საზოგადოება, ხელისუფლება, კერძო ინტერესი, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს და ყველა პროცესი, საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური დაცვით, მოქალაქეთა კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდეს.

საქართველოში მცხოვრები, მცირეიცხოვანი მდიდარი ადამიანები, ქველმოქმედებისთვისაც გაიღებენ ხოლმე, მატერიალურ დოვლათს (ხშირად კამერებისა და პუბლიკის წინაშე). როგორც ამას- "სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია" RMG აკეთებს, - საჩუქრები მოსწავლეებს და სტუდენტებს, ექსკურსიები და ფერადი ბუშტები!

თუმცა ყველა აცნობიერებს, რომ თანხის გადარიცხვით მდგომარეობა ვერ შეიცვლება. ილუზიაა, რომ "ქველმოქმედებით" შეიძლება ვინმეს დაეხმარო, - დახმარება არ ნიშნავს ცვლილებას, ამ შემთხვევაში დახმარება,- არ ნიშნავს დახმარებას. ქველმოქმედება უთანასწორობით საზრდოობს. ჰუმანურობის სახელით წამოწყებული, მთელი ეს, ადგილობრივი და საერთაშორისო მარათონები, ზოგ შემთხვევაში, ფარისევლობით დაბრმავებული, ზოგ შემთხვევაში კი, კარგად დაგეგმილი ეკონომიკური აფიორაა, - ეს არასწორად მიმართული პროცესები, ვერ იქნება მისაღები ადამიანებისთვის, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ უთანასწორობის, ჩაგვრისა და ექსპლუატაციის გაბატონებული მდგომარეობა. ასეთი აქტივობების მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ ისაა, რომ ყოველივე ეს ბოლომდე არ არის გააზრებული და მოქალაქეთა აბსოლუტურად არაკრიტიკულ ცნობიერებაზე არა "ქმედით", არამედ, რეპრეზენტაციული ცხოვრების წესზე დგას მთელი ეს შეტრიალებული ღირებულებების სისტემა.

მამუკა მგალობლიშვილი

"დაგვასაქმეთ სტუდენტები"

დარინა ჩადუნელი 2012 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. იგი უკვე მესამე კურსზეა და მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ჯერაც არ ყოფილა დასაქმებული.

„ტურიზმის ფაკულტეტზე 2012 წელს ჩავბარე. სახელმწიფოსგან 50%-იანი გრანტი მაქვს. წარმოშობით კასპიდან ვარ და თბილისში ჩამოსვლის გამო ნათესავ გოგონასთან ერთად სახლის ქირაობა მომიწია. მხოლოდ უნივერსიტეტის ხარჯები თვეში, საშუალოდ, 150-200 ლარია. ბევრი ქსეროასლის გადაღება გვიწევს. ხოლო ბინაში, მინიმუმ, 300 ლარი მეხარჯება. სტუდენტს, დაახლოებით, 500 ლარი და მეტი სჭირდება თვეში, რომ იცხოვროს და ისწავლოს. ეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ნათესავთან ან მეგობართან ერთადაა. სტუდენტური დასაქმება საჭიროა არა მხოლოდ საზაფხულო პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით, რეგიონიდან ჩამოსული ბავშვებისთვის, რომელთათვისაც დამატებითი შემოსავალი აუცილებელობას წარმოადგენს".

„ქართულმა ოცნებამ" წინასაარჩევნოდ განათლების სისტემაში რადიკალური ცვლილების განხორციელების პირობა დადო, თუმცა მაშინ საკუთარი ინიციატივის დეტალებზე ვერ საუბრობდნენ და მიზეზად ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის არქონას ასახელებდნენ. როგორც კოალიციის წარმომადგენელმა და განათლების ექსპერტმა ნინო გოგუაძემ განაცხადა, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური იმაზე დაბალი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის, თუმცა რის ხარჯზე მოხდებოდა ეს და რა რაოდენობის თანხის გადახდა მოუწევდათ სტუდენტებს, გოგუაძე ვერ აკონკრეტებდა.

„ქვეყანაში, სადაც ასეთი სოციალური მდგომარეობაა, არ შეიძლება სწავლის საფასური იყოს 2250 ლარი. როცა ვაცხადებთ, რომ განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ამაში, რა თქმა უნდა, სწავლის საფასურის შემცირებასაც ვგულისხმობთ. გადასახადი აუცილებლად შემცირდება, თუმცა კონკრეტულად საუბარი ჯერ რთულია, ვინაიდან ბიუჯეტის გაცნობის შემდეგ თანხები თავიდან დასათვლელი გაგვიხდება", – აცხადებდა გოგუაძე.

არჩევნების შემდეგ 2012 წლის 14 ნოემბერს მაშინდელმა განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა Ambebi.ge-სთან საუბარში განაცხადა:

„სწავლის გადასახადის გაძვირებას ვაპირებთ. განათლებაში მეტ ფულს უნდა ვიხდიდეთ შესაბამისი ცოდნა რომ შევიძინოთ, მაგრამ ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ბანკიდან სესხის სახით თუ ოჯახიდან, ეს სხვა თემაა".

საქსტატის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სულ 83 000 სტუდენტი სწავლობს. მათ შორის საკმაოდ დიდია რეგიონებიდან ჩამოსულ სტუდენტთა რაოდენობა.

ექსპერტი განათლების საკითხებში და ილიას უნივერსიტეტის პროფესორი სიმონ ჯანაშია სტუდენტური დასაქმების პროგრამებს სასარგებლოდ მიიჩნევს, როგორც სტუდენტისთვის, რომელთათვისაც ეს გამოცდილება იქნება, აგრეთვე ბიზნესისთვის, რათა ჩაერთოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და აუხსნას სტუდენტებს, რა მოლოდინები აქვთ მათგან, როგორც მომავალი თანამშრომლებისგან.

„მე არ განვიხილავდი სტუდენტების დაუსაქმებლობას, როგორც პრობლემას. ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით, სტუდენტების დასაქმებაა პრობლემა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სტუდენტები დასაქმების გამო მაქსიმალურად ვერ ახერხებენ შესაძლებელი განათლების მიღებას. ხშირად სტუდენტების დასაქმების სფერო და განათლების სფერო მნიშვნელოვნად არის დაცილებული ერთმანეთისგან. ამიტომ, შესაძლოა, სასარგებლო იყოს, რომ სახელმწიფო უბრალოდ დასაქმებაში კი არ ეხმარებოდეს სტუდენტებს, არამედ იმგვარ დასაქმებაში, რაც რელევანტურია, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს, რომ განათლების ხარჯზე კი არა, განათლების გასაუმჯობესებლად დასაქმდეს".

დასაქმების პროექტის ავტორისა და მინისტრის მრჩევლის ოთარ აბესაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის" დროს დახარჯული თანხები „Summer job"-ზე სამინისტრომ სტიპენდიის გაზრდასა და უფასო ფაკულტეტების დაფინანსებისკენ მიმართა, რითაც სტიპენდიის ამღებთა რაოდენობა გაორმაგდა და 21 ფაკულტეტზე სწავლა აბსოლუტურად უფასო გახდა.

„განათლების სამინისტრო არ არის დამსაქმებელი. სამინისტრო არის გარანტი იმისა, რომ დამსაქმებელს მიაწოდოს კვალიფიციური კადრი. სახელმწიფოს აქვს კარგი გეგმა, გარდა იმისა, რომ სტუდენტმა უნივერსიტეტში მიიღოს განათლება, ასევე ვიზრუნებთ იმაზე, რომ კადრი იყოს პრაქტიკულ დონეზე კარგად მომზადებული. შესაბამისად, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში ამოქმედდა სტაჟირების სისტემა. პრაქტიკულად, პოტენციურ დამსაქმებელს მიეწოდება კადრი, რომელიც არის როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად გამოცდილი. ეს სტაჟირების სისტემა ეხება თითქმის ყველა სტუდენტს".

ხელისუფლებას პრობლემის აღმოფხვრა დაწყებული აქვს, მაგრამ როგორ შეეხება მათ მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტები სტუდენტების უმრავლესობას და დაეხმარება თუ არა მათ როგორც სწავლის საფასურის, ისე ყოველთვიური სტუდენტური ხარჯების გადახდაში, ამას დრო გვაჩვენებს.

ვლადიმერ ორმოცაძე

„საყოველთაო ჯანდაცვის" გამოწვევები

საქართველოში ჯანდაცვა მიეკუთვნება იმ სფეროთა რიცხვს, რომლებშიც გამუდმებით რეფორმები მიმდინარეობს. ვარდების რევოლუციის შემდეგ გამოცხადდა ე.წ „100 საავადმყოფოსა" და „ხუთლარიანი დაზღვევის" სახელმწიფო პროგრამები. ხელისუფლების კიდევ ერთხელ შეცვლას თან ახალი ინიციატივები მოჰყვა და 2013 წლის 28 თებერვალს განხორციელდა „საყოველთაო ჯანდაცვის" პროგრამა, რომლის შედეგად ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირის ჯანმრთელობა დაზღვეულია. ეს პროექტი ინოვაციური ხასიათის იყო, თუმცა მას კრიტიკოსები დღემდე ჰყავს.

უკვე ერთი წელია, რაც 72 წლის მაყვალა კოვზირიძეს გული აწუხებს. ამჟამად მას გულის სარქველების გამოცვლა ესაჭიროება.

„4 თვეა, რაც ასეთ მდგომარეობაში ვარ, დაწოლა და სიარული არ შემიძლია, სულ უნდა ვიჯდე. აბა წარმოიდგინეთ, რა რთულია. ოპერაცია იანვარში უნდა გამიკეთდეს, იქამდე არ შეიძლებაო, რიგებია. ძალიან კარგი პროგრამაა, მადლობელი ვარ, რომ ოპერაციას მიფინანსებენ, მაგრამ იანვრამდე თუ მივალ ცოცხალი, ნამდვილად არ ვიცი", - ამბობს ის.

ოჯახის ექიმის ბაბული ბოსტოღანაშვილის თქმით, ჯანდაცვის სამინისტრო პაციენტს რეგისტრაციაში მიმართვისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენისთანავე ატარებს. შემდეგ კი პროვაიდერი კლინიკა, მის ხელთ არსებული რესურსებიდან გამომდინარე, წყვეტს, როდის დაინიშნება ოპერაცია. გადაუდებელი ოპერაციები კი მაშინვე კეთდება.

„საყოველთაო ჯანდაცვის" პროგრამით უკმაყოფილონი თვითონ ექიმებიც არიან. მათი დიდი ნაწილი პრევენციული ღონისძიებების დაფინანსების მომხრეა. ექოსკოპისტი ნაირა გოგბერაშვილი ამბობს, რომ ძალიან მცირე თანხაა გამოყოფილი პროფილაქტიკური შემოწმებისათვის და პრევენციის მიზნით, მხოლოდ აცრები კეთდება. იმავეს ადასტურებს თერაპევტი რუსუდან რობაქიძე. მისი თქმით, პრევენციული ღონისძიებები პროგრამით საერთოდ არ არის გათვალისწინებული:

„კარგი იქნება, თუ ამაზე იზრუნებენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად".

მანამ, სანამ „საყოველთაო ჯანდაცვის" პროგრამა ამოქმედდებოდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" იუწყებოდა, რომ ის ითვალისწინებდა ამ სახის ღონისძიებების დაფინანსებასაც:

„პროგრამით დაფინანსდება პრევენციული ღონისძიებები, რაც ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია იყო საქართველოს მთავრობისთვის და დღემდე არცერთი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსებულა", თუმცა ექიმები და პაციენტები საპირისპიროს ამბობენ.

ნაირა გოგბერაშვილის თქმით, თანადაფინანსება (როდესაც პაციენტი მომსახურების საფასურის 30%-ს იხდის) მოქმედებს მუცლის ღრუს განსაზღვრულ ორგანოებზე. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს სურს სხვა ორგანოც გამოიკვლიოს, მას სრული საფასურის გადახდა უწევს. ამიტომ, ბენეფიციართა დიდი ნაწილი პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარებისგან თავს იკავებს.

პრევენციული ღონისძიებების დაფინანსების მომხრეები პაციენტებიც არიან:

„საქართველოში ხალხი თითქმის არ მიმართავს ექიმს პროფილაქტიკის მიზნით. მსგავსი ღონისძიებები რომ უფასო იყოს, ეს თანდათან განავითარებს ამ კულტურას. უნდა ჩავიტაროთ გამოკვლევები, რათა დაავადებები წინასწარ აღმოვფხვრათ. მაგალითად, კიბოს ვუმკურნალოთ არა მეოთხე სტადიაზე, არამედ საწყის ეტაპზე", - აღნიშნავს ხათუნა გაბრიჭიძე.

საზოგადოების ნაწილი კი სხვაგვარადაა განწყობილი:

„აბა, ის იყო კარგი, რაც აქამდე ხდებოდა? ხალხი ექიმთან ვერც კი მიდიოდა", - ამბობს ნაზი გამგებელი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცკოდექსის" მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც 2014 წლის 22 მაისს დასრულდა, „საყოველთაო ჯანდაცვის" პროგრამასთან დაკავშირებულ ხარვეზებს შორის ერთ-ერთი მთავარი სწორედ პროფილაქტიკური სერვისების გაუთვალისწინებლობაა. როგორც კვლევამ აჩვენა, ბენეფიციარებს ყველაზე მეტად ეს საკითხი აწუხებთ. ამ პრობლემაზე ისაუბრა გამოკითხულ ბენეფიციართა 61,1%-მა. გამოკითხული ექიმების 94,4%-ის აზრით კი, პრევენციული ღონისძიებების დაფინანსება აუცილებელია.

ცალკე უნდა გამოიყოს ამავე პროგრამის ფარგლებში ექიმების დაფინანსების საკითხი. გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დროს სამედიცინო დაწესებულება ფინანსდება შემთხვევების მიხედვით. ჩვეულებრივი ამბულატორიული მომსახურებისათვის კი პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას სახელმწიფო ერთ მოსარგებლე პირზე უხდის 0,86 ლარს, ლაბორატორიული კვლევებისათვის - 0,25-ს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დაწესებულებას ფიქსირებულ გადასახადს ერთ მოსარგებლე პირზე უხდიან იმის მიუხედავად, უწევს თუ არა მას მომსახურებას, შესაძლოა, გაჩნდეს გარკვეული სახის რისკები.

გარდა იმისა, რომ მცირე შემოსავლის შესახებ თავად ექიმები საუბრობენ, პაციენტები ამბობენ, რომ სწორედ ამ მიზეზით არ ემსახურებიან მათ ხარისხიანად.

ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ირაკლი ურუშიძის თქმით, სააავადმყოფოში, სადაც ის დაზღვეულია, სათანადო დახმარებას არ უწევენ. ამიტომ, ხშირად უწევს სრული საფასურის გადახდა მკურნალობისათვის.

ხსენებული პრობლემა გამოკვეთილია „სოცკოდექსის" მიერ ჩატარებულ კვლევაშიც. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოკითხულთა 57,30% ამბობს, რომ ექიმების ხელფასი პროგრამის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა. ექიმების აზრით კი, ანაზღაურება მათ მიერ გაწეული შრომის არაადეკვატურია.

პროგრამის გამოწვევებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „საყოველთაო ჯანდაცვა" პრივილეგიებს არ უწესებს ქრონიკული დაავადებების მტარებელ პირებს, რომელთაც გამუდმებული მეთვალყურეობა სჭირდებათ. ზოგიერთი ასეთი დაავადების მკურნალობის კურსი საკმაოდ ძვირადღირებული მედიკამენტების მიღებას გულისხმობს, თანაც ინტენსიურად. მათს რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, შაქრიანი დიაბეტი. ეს უკანასკნელი კი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2012 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში 10 ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა რიცხვშია.

ზოგადად, პაციენტების უმრავლესობას სწორედ მედიკამენტებზე დაწესებული მაღალი ფასები აწუხებს.

„უკვე 81 წლის ვარ, ეტლით გადავადგილდები. სხვა წამლებს რომ თავი დავანებო, წნევის წამალი და ტკივილგამაყუჩებელი მაინც მჭირდება. ჩემი პენსიით კიდევ რამდენ რამეს გავწვდები?! ფასდაკლების დღეებს ველოდები ხოლმე „ფარმადეპოში", მაგრამ ესეც ვერაა დიდი შეღავათი", - ამბობს პენსიონერი ნორა კალანდაძე.

„სოცკოდექსის" მიერ გამოკითხულთა 62,40% ფიქრობს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვა" არაეფექტურია, რადგან მედიკამენტებზე დაწესებული მაღალი ფასების გამო პაციენტები ექიმის დანიშნულებით ვერ სარგებლობენ.

2013 წლის იანვრის „ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიშში" ვკითხულობთ, რომ ჯანდაცვისთვის გაღებული სახსრების ნახევარს სწორედ მედიკამენტებზე დახარჯული თანხა შეადგენს, „საყოველთაო ჯანდაცვა" კი მედიკამენტებით ბენეფიციართა უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს.

აღნიშნული ფაქტები და არგუმენტები იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვის" პროგრამის წინაშე ძალიან ბევრი გამოწვევა დგას. მართალია, ყველა პრობლემას აქ ვერ შევეხებოდით, თუმცა კვლევამ ცხადყო, რომ რამდენიმე მათგანი საკმაოდ მძაფრია და მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ემუქრება. ნებისმიერი პროგრამა ამ სფეროში იმისკენ უნდა იყოს მიმართული, რომ არ დაუშვას ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები კი ხელს არ უნდა უშლიდეს იმ მიზნის განხორციელებას, რომლისთვისაც ის შეიქმნა.

ანი ბოჭორიშვილი

კულტურული მემკვიდრეობიდან ოქროს თანამედროვე მოპოვებამდე

ბოლნისის რაიონ დაბა საყდრისთან მდებარე საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტი ყურადღების ცენტრში დიდი ხნის წინ მოექცა. არქეოლოგთა ერთი ჯგუფის მტკიცებით, იქ უძველესი ოქროს მაღაროა, სადაც ფერადი ლითონის მოპოვება საქართველოში ეგვიპტელებზე უფრო ადრე, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე-მესამე ათასწლეულებში, ხდებოდა. კულტურის სამინისტროს კომისიის მიერ დადებული დასკვნის მიხედვით კი, იმ დროისთვის აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ პირობებში ოქროს მოპოვება შეუძლებელი იყო. სწორედ ამაზე მიმდინარეობს დავა დღემდე - იყო იქ ოქროს მაღარო და ტერიტორია სახელმწიფომ უნდა დაიცვას, როგორც უნიკალური ძეგლი, თუ არ იყო მაღარო და მაშინ კერძო კომპანია „არემჯი გოლდს“ (RMG GOLD) შეუძლია ეს ადგილები ოქროს მოპოვების მიზნით აითვისოს. დისკუსია დიდი ხანია სამეცნიერო ჩარჩოებს გასცდა და მასში საზოგადოება, სახელმწიფო უწყებები და არასამთავრობო სექტორი ერთდროულად ჩაერთო.

„არემჯი გოლდმა“ არქეოლოგიურ ობიექტზე სამუშაოები კულტურის მინისტრისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე განაახლა. ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებით, საყდრისი-ყაჩაღიანის უბანს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა. გადაწყვეტილების მიმღებ უწყებათა წარმომადგენლების განცხადებით, ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საყდრისის აღნიშნულ უბანზე ძეგლის კვალი არ არსებობს. კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ტერიტორიას კულტურულ მემკვიდრეობად მიიჩნევს და ამბობს, რომ ძეგლი თავისი ისტორიული ღირებულების გამო არ უნდა განადგურდეს. ისინი ქართულ-გერმანული ექსპედიციის დასკვნას ეყრდნობიან, რომელიც 9-წლიანი მუშაობის შემდეგ დაიდო და რომლის მიხედვითაც, ამ ტერიტორიაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე-მესამე ათასწლეულებში, სამთო წესით მოიპოვებდნენ ოქროს და ეს მსოფლიოში უნიკალური ძეგლია.

კომპანია „არემჯი გოლდმა“ საყდრისზე სამუშაოები 12 დეკემბერს განაახლა. ნომერ პირველ უბანზე კი ორი აფეთქება მოხდა, რასაც ახალი საპროტესტო ტალღა მოჰყვა. აქციები ერთდროულად დაიწყო თბილისსა და კაზრეთში. აქციის მონაწილეები საყდრისში კომპანიის მიერ დაწყებული სამუშაოების შეჩერებასა და მისთვის კულტურული ძეგლის სტატუსის დაბრუნებას ითხოვდნენ. საქმეზე სამართლებრივი დავაც დაიწყო. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ ამტკიცებენ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება დაუშვებელია. კახა კოჟორიძის განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის კანონით დაცვა სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნულ საქმეში კი იურისტები კანონდარღვევებს ხედავენ.

კულტურის სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისიის წევრის, მეცნიერ დავით ლომიტაშვილის მტკიცებით კი აღნიშნულ ტერიტორიაზე საერთოდ არ ყოფილა უძველესი ოქროს მაღარო.

„იქ არავითარი ოქროს უძველესი მაღარო არ არის და ეს უბრალოდ სამეცნიერო თაღლითობაა. აქ საუბარია აღმოჩენილ ნივთებზე, რომელთა შორისაა ათასობით რიყის ქვა, ერთი ცალი სპილენძის ქინძისთავი, რამდენიმე ათეული კერამიკის ნატეხი, ჭურჭელი და ტიგელის ფრაგმენტი. არქეოლოგიური ექსპედიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს არის ტიგელის ფრაგმენტი, სადაც ოქრო დნებოდა. მე ვეუბნები მათ, მომიტანეთ ამ ფრაგმენტის ლაბორატორიული ანალიზი, რომ იქ ოქროს ნიშნებია. ასეთი ანალიზი და პასუხი არ არსებობს. მათი აზრით, პრეისტორიული ადამიანები ჩადიოდნენ ვიწრო ნაპრალებში და ცეცხლს ანთებდნენ, არადა, იქ ისეთი უჰაერო სივრცეა, რომ სიგარეტის მოკიდებაც კი წარმოუდგენელია. თუკი ამ პერიოდში ამ ადგილას ამდენ ოქროს მოიპოვებდნენ, რატომ არ ვლინდება იგი საქართველოში? მაჩვენეთ ამ პერიოდის თუნდაც ერთგრამიანი ნაკეთობა, მსგავსი რამ არ არსებობს“, - აცხადებს დავით ლომიტაშვილი.

საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ირინა ღამბაშიძე კი ამტკიცებს, რომ ობიექტზე აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის ბოლოთი და მესამე ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. შესაბამისი მასალების წარდგენის შემდეგ კულტურის სამინისტრომ 2006 წელს ობიექტს ეროვნული ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელისთვის გაუგებარია, რატომ მიანიჭა კულტურის სამინისტრომ ობიექტს ძეგლის სტატუსი 2006 წელს, თუკი მისი კულტურული ღირებულება მეცნიერთა მხრიდან სათანადოდ არ იყო დასაბუთებული

საყდრისის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში მოსახლეობასთან ერთად ჩაერთო პრეზიდენტი, პრემიერი და ოპოზიცია. გიორგი მარგველაშვილი მაღაროზე ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოებას დაუშვებლად მიიჩნევს და შესაბამის უწყებებს მისი დაცვისკენ მოუწოდებს:

„ქართული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს შორის ერთ-ერთი უძველესი სწორედ საყდრისის ოქროს მაღაროა. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი იდენტობის გამომხატველი თითოეული ნიმუში და ამით დავიცვათ საკუთარი იდენტურობა. საყდრისის მაღაროს საქმეზე დავა სასამართლოში მიმდინარეობს. ყველა ვალდებულია, დაელოდოს სასამართლო პროცესის დასრულებას და შემდეგ აღასრულოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. მანამდე კი დაუშვებელია ობიექტზე ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოება“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

პოლიტიკური გაერთიანება „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ კი კვალიფიციური სპეციალისტებისგან შემდგარი კომისიის შექმნასა და ობიექტის კულტურული მნიშვნელობის ხელახლა შესწავლას მოითხოვს.

დაბა კაზრეთში მიმდინარე მოვლენებს პატრიარქიც ეხმაურება. ილია მეორემ სამების ტაძარში ქადაგებისას მაღაროში მომხდარი აფეთქება დაგმო და ხელისუფლებისგან აქტის ჩამდენთა დასჯა მოითხოვა.

„მეცნიერები ამბობენ, რომ ეს არის უძველესი ოქროს საბადო საქართველოში. ამ დღეებში მოხდა აფეთქება და საქართველოს ეკლესია გმობს ამას. ჩვენ ვგმობთ ამ ფაქტსა და იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს აფეთქება მოაწყო. ჩვენ ვთხოვთ ხელისუფლებას გამოიძიოს და დაადგინოს აქტის ჩამდენის ვინაობა, რათა მან სათანადო სასჯელი მიიღოს“, - ნათქვამია პატრიარქის ქადაგებაში.

განსხვავებული პოზიცია აქვს მთავრობის მეთაურს. ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ საზოგადოება დღეს არჩევანის წინაშეა - დარჩეს ბოლნისში მცხოვრები სამი ათასი ოჯახი დასაქმებისა და ხელფასის გარეშე, თუ სახელმწიფომ დაიცვას ობიექტი, რომელიც მეცნიერთა დასკვნის მიხედვით, სტერილური ობიექტია. პრემიერი „არემჯი გოლდის“ სახელფასო ბიუჯეტზეც საუბრობს, რომლის მიხედვითაც, კომპანიამ 2013 წელს ხელფასის სახით 41 მილიონი ლარი გასცა. განვითარებული მოვლენების გამო კი 2014 წელს ეს კოეფიციენტი მკვეთრად შემცირდა. პრემიერი განმარტავს, რომ სწორედ ამ სამუშაოებზეა დამოკიდებული ათასობით ოჯახის შემოსავალი და კეთილდღეობა.

მაღაროში სამუშაოების შეჩერების მსურველთა აქციებს კი კომპანიის თანამშრომლები კონტრაქციით პასუხობენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მკვიდრია. ისინი აცხადებენ, რომ სამუშაოების შეწყვეტის შემთხვევაში, საარსებო წყაროს გარეშე დარჩებიან და ბრძოლას არსებობისთვის, უბრალოდ, ვეღარ შეძლებენ.

როგორ განვითარდება მოვლენები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე, პროგნოზირება რთულია. არასამთავრობო სექტორი სახელმწიფოსთან სამართლებრივ დავას განაგრძობს. საზოგადოების ნაწილს სამუშაოების გაგრძელება არ სურს. კომპანიაში დასაქმებულები კი სამუშაოების გაგრძელებას ითხოვენ. არასამთავრობო სექტორი სახელმწიფოსთან სამართლებრივ დავას განაგრძობს. პრეზიდენტი სასამართლოს განჩინებას ელოდება. პატრიარქი გმობს. „არემჯი გოლდი“ კი უკვე გაკოტრების პირასაა. პასუხი მთავარ კითხვაზე - ვის დარჩება საყდრისი, სახელმწიფოსა თუ კომპანიას, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ნანუკა მეშველაშვილი

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი “სავანე”

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი მთელ ამიერკავკასიაში პირველი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოა, რომელიც 1980 წლის 18 აპრილს გაიხსნა. თავდაპირველად, პანსიონატი განკუთვნილი იყო მხოლოდ სამშობლოსათვის ღვაწლმოსილი ადამიანებისთვის, რომლებსაც სახელმწიფოს თანადგომა სჭირდებოდათ. დღეს „სავანემ“ პროფილი შეიცვალა და მისი ბენეფიციარები სოციალურად შეჭირვებული ადამიანებიც არიან.

თემქის მე-11 მიკრორაიონში მდებარე ხანდაზმულთა პანსიონატი ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივად გამოიყურება. ერთადერთი რამ, რაც თქვენს ყურადღებას მიიპყრობს, წარწერაა, რომელიც გვატყობინებს, რომ შენობაში ხანდაზმულთა პანსიონატია განთავსებული.

კარის გაღებისთანავე სულ სხვა სამყაროში მოხვდებით. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, შენობის შესასვლელში იდეალური სისუფთავე და სიჩუმეა. ფრთხილი ნაბიჯებით დაცვის ოთახთან მისვლას შევეცადე, რადგან არ მინდოდა ჩემი ნაბიჯების ხმას შენობაში გამეფებული მისტიკური სიჩუმე და იდილია დაერღვია. „სავანეს“ დაცვამ თავაზიანად მიმიყვანა დანიშნულების ადგილამდე და მოხუცებულთა პანსიონატში ჩემი „მოგზაურობაც“ დაიწყო.

პირველი „გაჩერება“ იყო ხანდაზმულთა პანსიონატის დირექტორის მოადგილის კაბინეტი, სადაც ქალბატონმა მირანდა მუმლაძემ მიმასპინძლა. მან პანსიონატის მთავარ პროფილსა და იქ არსებულ პირობებზე ისაუბრა:

„ჩვენი პანსიონატი პირველია მთელ ამიერკავკასიაში, 1980 წელს გაიხსნა. თავდაპირველად, მხოლოდ განსაკუთრებული დამსახურების მქონე პირებზე იყო გათვლილი, მაგრამ რამდენიმე წლის წინ პროფილი შეიცვალა და ახლა სოციალურად შეჭირვებულ პირებსაც ვღებულობთ. სახელმწიფო დაწესებულებაა და მთლიანად ექვემდებარება ჯანდაცვის სამინისტროს. ხანდაზმულებიც სწორედ სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს მოჰყავთ ჩვენთან. ამჟამად 83 ბენეფიციარი გვყავს, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებლით, საკვებითა და მედიკამენტებით. თითოეულ მათგანს საკუთარი ოთახი და არსებობისთვის საჭირო ყველა პირობა აქვს შექმნილი. გარდა ამისა, პანსიონატის ბინადართათვის გვაქვს ბიბლიოთეკა, სატრენაჟორო დარბაზი და შრომა-თერაპიის ოთახი, სადაც ჩვენს ხანდაზმულებს ქარგვის საშუალება ეძლევათ“,- აღნიშნა მირანდა მუმლაძემ. ქალბატონმა მირანდამ დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა:

„მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად ვცდილობთ ჩვენს ბენეფიციარებს ცხოვრებისათვის საჭირო პირობები შევუქმნათ, 2 მთავარი პრობლემა მაინც არსებობს: არ გვაქვს გათბობა და ცხელი წყალი. ეს პრობლემები ყველაზე მეტად ზამთრის პერიოდში გვახსენებს თავს“.

ქალბატონი მირანდას კაბინეტიდან გამოსული, ყველაზე ხანდაზმული ბენეფიციარის ანა ბებოს (გორდაძის) ოთახისაკენ გავემართე. კარი მომვლელმა გამიღო და ოთახის სიღრმეში, საწოლში მყოფი ანა ბებოც გამოჩნდა. როდესაც გაიგო, თუ რატომ ვესტუმრე, მომვლელი დაითხოვა და დიდი მონდომებით საკუთარი ისტორიის მოყოლა დაიწყო:

„ჩემთვის ძალიან მძიმეა გავიხსენო ის ისტორია, რაც თავს გადამხდა. უმაღლესი კატეგორიის ექიმი ვიყავი, მარტო 51 წელი რკინიგზის საავადმყოფოში სტატისტიკური განყოფილების უფროსად ვიმუშავე. ქმარი ადრე გარდამეცვალა და 2 მცირეწლოვანი შვილის გაზრდა მარტოს მომიწია. სამ კვირაში 2 შვილი დავმარხე. პირველად ვაჟი გარდამეცვალა. ეს ამბავი ჩემმა ქალიშვილმა რომ გაიგო, ინერვიულა და ისიც მალე წავიდა ამ ქვეყნიდან. გაუბედურებული დედა შვილიშვილთან ვცხოვრობდი, რომელსაც 4 შვილი ჰყავს. ძალიან გამიჭირდა მათთან ცხოვრება, ჩემთვის, მარტოს მინდოდა ყოფნა და ჩემს პრობლემებზე ტირილი. მისული ვიყავი სოზარ სუბართან, რომელიც აქ მოხვედრაში დამეხმარა. ახლა ძალიან კარგად ვარ, 7 წელია, რაც აქ ვცხოვრობ. დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შემიძლია, ამიტომ მომვლელი მყავს. კვებაც ძალიან კარგია. ერთადერთი, რაც მაწუხებს ის არის, რომ დღეს ხალხს ერთმანეთი არ უყვარს“.

ანა ბებოს დავემშვიდობე და სხვა ბენეფიციარების ოთახებისაკენ გავემურე. გზაში გონებაში მიტრიალებდა ქალბატონი ანას მიერ ნათქვამი ფრაზა, რომელიც დამშვიდობების დროს მითხრა, რა კარგია, რომ მესტუმრე, დღე შემივსე და გამილამაზე. გამახარებ, თუ კიდევ მინახულებო.

მივადექი ოთახს, რომელშიც ბატონი მურმან ხაჭაპურაძე მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. კარი მისმა მეუღლემ გამიღო. ოთახში შესვლისას დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარება აკვარიუმი და მცირე ზომის ნაძვის ხე, რომელიც ოთახში ერთადერთი ნივთია, რაც ახალი წლის მოახლოებაზე მეტყველებს. ბატონი მურმანი პანსიონატში მისვლამდე აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა და გაზეთ „ქუთაისის“ კორესპონდენტი იყო. მიუხედავად ფართის სიმცირისა, ოთახს ერთი შეხვედვითაც ეტყობოდა, რომ ჟურნალისტს ეკუთვნოდა. ამაზე წიგნის თაროები და მაგიდაზე დაწყობილი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი მეტყველებდა.

ბატონმა მურმანმა, გავეცანი თუ არა, მაშინვე სიხარულით მიმიღო, პატარა კოლეგაც მიწოდა.

„6 წელია, რაც მე და ჩემი მეუღლე აქ ვცხოვრობთ. საცხოვრებელი ფართის არქონამ გადაგვაწყვეტინა აქ მოსვლა. შვილები მყავს, მაგრამ ჩემთან ურთიერთობა იმდენად არ აქვთ, რადგან მეორე ოჯახი შევქმენი. აქ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, საკუთარ ოჯახშიც არ არის ბევრი ადამიანი ასე კარგად. პენსიაც კი გვაქვს შენარჩუნებული და ჩვენ თვითონ ვხარჯავთ საკუთარი სურვილის მიხედვით. პანსიონატში მოსვლამდე ჟურნალისტურ საქმიანობას ვეწეოდი. პირველად ქუთაისის რადიოში ვმუშაობდი, შემდეგ კი გაზეთ „ქუთაისში“.

დასასრულს, ბატონ მურმანს ვთხოვე რაიმე რჩევა მიეცა მომავალი ჟურნალისტებისათვის:

„ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ქართული ჟურნალისტიკის სამჭედლო იყო. ამიტომ, მომავალ ჟურნალისტებს გთხოვთ, არ შეარცხვინოთ თქვენი თავი და ლექტორები. იყავით მიუკერძოებლები და ობიექტურები“, - მითხრა მურმან ხაჟაპურაძემ.

ბატონი მურმანის სიტყვების მოსმენის შემდეგ მისმა მეუღლემ რეპლიკის სახით დაამატა: „ისაუბრეთ გამართული ქართულით“.

ბატონ მურმანსა და მის მეუღლეს დავემშვიდობე და ბოლოჯერ დავარღვიე პანსიონატის მყუდროება. დავტოვე გაყინული კედლები და დერეფანი, რომლებსაც მხოლოდ ადამიანთა მოზღვავებული სითბო და სიყვარული ვერ ათბობს. წინ არის სუსხიანი ზამთარი, რომელსაც, როგორც ყოველთვის, „სავანე“ „შეხმატკბილებულად“ დახვდება.

მარიამ გოგაძიშვილი

როგორ მოიპარა სიძვირემ შობა?

ახალი წლის დადგომასთან ერთად საგრძნობლად იზრდება ფასები პროდუქტებზე, თუმცა ამის პარალელურად, ძალიან დაბალია საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი მაშინ, როცა სამომხმარებლო კალათას კიდევ 12 პროდუქტი დაემატა. მოგეხსენებათ, ქართული საახალწლო სუფრა საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ, როგორც გამყიდველები და მყიდველები აცხადებენ, წელს პროდუქციის ნახევარსაც ვერ ყიდიან.

როცა ახალი წელი დგება, სურსათზე ფასების მაჩვენებელი პიკს აღწევს. გოჭი, ჩურჩხელა, ინდაური, გოზინაყი - ეს იმ პროდუქტების მცირე ჩამონათვალია, რომელთა გარეშეც ქართული სუფრა, ალბათ, წარმოუდგენელია, თუმცა სულ სხვა საკითხია რამდენად წვდება სამომხმარებლო კალათას საარსებო მინიმუმი.

„ჩვენთვის ახალი წელი აგვისტოში იყო. მაშინ თუ კვირაში 1000 ლარისას ვვაჭრობდით, ახლა 100 ლარს ძლივს ვაღწევთ. ნიგოზი გაძვირდა და, შესაბამისად, ჩურჩხელის ფასმაც მოიმატა. ფული აღარ არის. ადრე თუ კონებით მიჰქონდათ ჩურჩხელა, ახლა თითო-ოროლაღა მიაქვთ“, - ამბობს აგრარული ბაზრის ერთ-ერთი მოვაჭრე მანანა დარასელია.

მის მსგავსად, მყიდველების ნაკლებობასა და „ჩავარდნილ ახალ წელზე“ საუბრობს მედიკო გალაშვილი:

„მყიდველები თითქმის არ მყავს, იმედი მაქვს 25-ის მერე გაიყიდება. ხალხს ფული არ აქვს, განა არ უნდათ, რომ იყიდონ, უბრალოდ, შესაძლებლობა არ აქვთ. არადა, ინდაურზე ან გოჭზე, საშუალოდ, 5 ლარია მომატებული“.

საქსტატის ბოლო მონაცემების მიხედვით, ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 160 ლარია მაშინ, როცა, ამის პარალელურად, იზრდება სამომხმარებლო კალათის მაჩვენებელი. მას გამოაკლდა 4 პროდუქტი და დაემატა 11. შესაბამისად, შეუძლებელია 160 ლარით გასწვდე გადასახადებს, ტრანსპორტისა და სასურსათო ხარჯებს, მით უმეტეს, როცა პენსიონერი ხარ. 150 ლარი საარსებო მინიმუმის მხოლოდ 93,75%-ს შეადგენს, შესაბამისად, მინიმალური სამომხმარებლო კალათის გარკვეული კომპონენტები ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი იმ პირებისათვის, რომელთა შემოსავალიც მხოლოდ პენსიით განისაზღვრება.

„ბაზარში 60 ლარით გამოვედი, საახალწლოდ მინდოდა თადარიგი დამეჭირა, მაგრამ, ფასებიდან გამიმდინარე, 100 ლარი დამეხარჯა. არადა, ეს თანხა გადასახადებისათვის მქონდა გათვალისწინებული. ამასთან, ადამიანმა ქალაქში ხომ უნდა იარსებო, ხომ უნდა იმგზავრო. საახალწლოდ განსაკუთრებით იგრძნობა ფასების მატება. ნორმალური ნიგოზი რომ იყიდო, კილოგრამი 25-30 ლარი ღირს“, - ამბობს 67 წლის პენსიონერი ინდირა ელნაშვილი. მისი თქმით, საარსებო მინიმუმი ვერ სწვდება იმ მინიმალურ მოთხოვნილებებს, რაც მას სჭირდება. ახალი წლის აღნიშვნა კი, სავარაუდოდ, ტრადიციული სუფრის გარეშე მოუწევს მაშინ, როცა საშუალო ინდაური 50-55 ლარი ღირს, გოჭი 80 ლარი, აღარაფერს ვამბობ გაძვირებულ ხილზე.

თავისი მყიდველი ყველა პროდუქტს ჰყავს, თუმცა ძალიან დაბალია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ახერხებენ, რომ საახალწლო სუფრა მთელი რიგი წესების დაცვით გააწყონ. დღეს მინიმალური სასურსათო კალათით განსაზღვრული სავალდებულო პროდუქტების მიღებას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს, რაც იმას ნისნავს, რომ ხალხს შია, შობა-ახალი წელი კი კარს მოგვდგომია.

შორენა ქარცივაძე

მათ, ვისაც მართვის მოწმობის აღება სურს

2014 წლის დეკემბრიდან მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის შინაარსი იცვლება. მომსახურების სააგენტოს ცნობით, ახალი ბილეთები, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 21 ოქტომბერს დამტკიცდა. მოწმობის აღების მსურველებს განახლებული თეორიული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, ახალ ელექტრონულ ბილეთებს დაემატება სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები. ბილეთებში გამოყენებული იქნება საქართველოს ავტომაგისტრალებისა და ქუჩების ფოტოები.

გადაადგილდება ტესტის სავარაუდო პასუხების ნუმერაცია. თუ ერთ შემთხვევაში სწორი პასუხი ნუმერაციის მიხედვით 1 იქნება, იმავე კითხვის პასუხი მეორე ჯერზე სხვა ნომრით იქნება დასახელებული. ზემოაღნიშნული ცვლილება ემსახურება იმას, რომ სწორი პასუხების მექანიკური დამახსოვრება არ მოხდეს.

მომსახურების სააგენტო იუწყება, რომ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალი. აღქმის გასაიოლებლად გამოყენებული იქნება გრაფიკულად მეტად დახვეწილი მასალა.

ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა და საზოგადოების უმრავლესობის ყურამდე დამახინჯებულად მივიდა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, 15 დეკემბრიდან მართვის მოწმობის თეორიული გამოცდა საგრძნობლად რთულდებოდა.

უამრავი ადამიანი დეკემბრის დასაწყისში ცდილობდა მართვის მოწმობის აღებას, რამაც უფრო შეაფერხა პროცესი და გაართულა თითოეული მოქალაქისთვის გამოცდის ჩაბარება.

თამარ გაგნიძე ერთ–ერთია, ვინც რუსთავში მართვის მოწმობის ასაღებად დილის 6 საათიდან რიგშია:

„მართვის მოწმობის თეორიულ ბილეთებს ერთი თვეა ვსწავლობ, გამოცდაზე გასვლას არ ვჩქარობდი, ვიფიქრე, ყველა ბილეთს კარგად ვისწავლი და შემდეგ გავალ გამოცდაზე-მეთქი, მაგრამ ახლა გავიგე, თურმე, 15 დეკემბრიდან თეორიული გამოცდა იცვლება და ყოველდღე გრძელ რიგში მიწევს დგომა იმ იმედით, რომ ძველი ბილეთებით ჩავაბარებ. 3 დღეა სახლში ისე ვბრუნდები, საგამოცდო ოთახთან ახლოსაც ვერ მივდივარ. ყველა ასეთ მდგომარეობაშია, ვინც ჩემთან ერთად დგას რიგში. ვფიქრობ, ეს არასწორია, ასეთი ცვლილების შესახებ, მინიმუმ, 2 თვით ადრე უნდა გახდეს ცნობილი“.

შსს-ის მომსახურების სააგენტო იუწყება, რომ მართვის მოწმობის აღების მსურველთა დიდი ნაკადის გამო, 10 დეკემბრამდე მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე განაცხადების მიღება, ნაცვლად 16:30 საათისა, 15:00 სთ-მდე იწარმოებს. ცვლილება ხელს შეუწყობს თითოეული მსურველის შეფერხების გარეშე

პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლას.

„მათ, ვინც 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე ჩააბარა მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის თეორიული ნაწილი, პრაქტიკული გამოცდის ჩასაბარებლად 30-ის ნაცვლად 60 კალენდარული დღე ექნებათ. ცვლილება სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მიღების მსურველთა მომატებული რაოდენობიდან გამომდინარე განხორციელდა, ვინაიდან მოქალაქეთა გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო პრაქტიკული გამოცდების ჩაბარება განსაზღვრულ ვადებში“, - ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სააგენტოში ამბობენ, რომ ცვლილებები გამოცდას არ გაართულებს და პირიქით, მართვის მოწმობის აღების მსურველებს საკითხების აღქმას გაუადვილებს. ასევე ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის, შესაძლებელია, საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა.

ანანო ჯაბუა

ექსპერტობიდან პრეზიდენტამდე

დიქტატორი პრეზიდენტი ქვეყანას რკინის ხელით მართავს და მოსახლეობის სიღატაკის ხარჯზე თავის ოჯახთან ერთად სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრობს. სასტიკი რეჟიმის დამხობის შემდეგ პრეზიდენტი იძულებული ხდება პატარა შვილიშვილთან ერთად ქვეყნიდან გაიქცეს. ყოფილ ლიდერს ძებნილად აცხადებენ და მისი პოვნისთვის სოლიდურ ჯილდოს აწესებენ. ბაბუა და 5 წლის შვილიშვილი სახიფათო მოგზაურობას იწყებენ. 7 წლის დაჩი ორველაშვილის მოგზაურობა სამსახიობო კარიერაში, სწორედ ამ ფილმით იწყება.

ფილმამდე 2 წლით ადრე საქართველოში დაჩის უკვე ბევრი ადამიანი იცნობდა. მისი უფროსი დის, ჟურნალისტი ნათია ორველაშვილის, მიერ გადაღებულ ვიდეოებში ის მუდმივად გამოთქვამდა საკუთარ აზრს მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე. სოციალურ ქსელ „იუთუბზე“ მის გვერდს ორ ათასზე მეტი მნახველი ჰყავს. ახლა, როგორც თვითონ ამბობს, „ექსპერტობანას“ მხოლოდ თავისუფალ დროს თამაშობს.

ფილმ „პრეზიდენტის“ კასტინგზე დასთან ერთად მივიდა. იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ის ბიჭი აღმოჩნდებოდა, რომელსაც ირანელი რეჟისორი მოჰსენ მახმალბაფი საქართველოში ეძებდა.

„კასტინგზე არ ვნერვიულობდი, ვიცოდი, რომ გამომივიდოდა. ტანგო მაცეკვეს, მამღერეს. ახალ წელს გვითხრეს, რომ ამირჩიეს. ძალიან გამიხარდა“.

ეს იმ წარმატების დასაწყისი აღმოჩნდა, რომლითაც დაჩი საქართველოს გარდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გაიცნეს და შეიყვარეს. მისი სადებიუტო როლი პირველად მაყურებელმა 27 აგვისტოს ვენეციის 71-ე კინოფესტივალზე იხილა. დაჩი ორველაშვილის ნიჭიერება შეუმჩნეველი არც იტალიაში დარჩენიათ:

„პატარა მსახიობი დაჩი ორველაშვილი მრავალმნიშვნელოვნად პოზირებს ფოტორეპორტიორების წინ, მას უდავოდ დიდი მომავალი აქვს“, - წერს იტალიური პრესა.

„თავიდან, კინოფესტივალზე ჩვენი პრესკონფერენცია რომ დაიწყო, ცოტა დავიძაბე, მერე ჩემს თავს ვკითხე, რატომ ვიყავი ასე და გამიარა. არ გამჭირვებია უცხო ხალხთან ურთიერთობა და არც კამერებთან პოზირება. ძალიან ლამაზი ადგილი იყო. საქართველოში ასეთი ადგილი არსად მინახავს. ძალიან კულტურული ხალხია“.

ამბობს, რომ პროფესიონალ მსახიობებთან თამაში არ გასჭირვებია, პირიქით, მათგან ბევრი რამ ისწავლა. ყველაზე რთული მისთვის ემოციების გამოხატვა - სიცილი და ტირილი იყო. მიუხედავად ამ სირთულეებისა, გადაღების პროცესი დაჩისთვის ძალიან საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა.

„ყველაზე მეტად უფლისციხე მომეწონა. მცხეთაშიც ვიყავით. გადაღებების პერიოდში მწყემსებს შევხვდით, ხელში ბატკანი დამაჭერინეს და მითხრეს, აკოცეო. კოცნით არ მიკოცნია, მოვეფერე, მაგრამ ცოტათი მიმედო პირი და როგორც კი სახლში მივედი ზეზოს ვთხოვე სასწრაფოდ დაეზანა პირი ჩემთვის".

ამბობს, რომ თანაკლასელებისგან არაფრით გამოირჩევა. თავისუფალ დროს ისე ატარებს, როგორც მისი თანატოლები. უყვარს ზღაპრების კითხვა, თუმცა მულტფილმების ყურებას ამჯობინებს. უსარგებლო ნაწილებისგან ახალ ნივთებს ქმნის, რომელთა დანიშნულებასაც ოჯახის წევრებს უხსნის. ასე შექმნა წყლის თოფი ბილიარდის კიისა და ნასვრეტებიანი ბოთლის გამოყენებით.

„ექსპერტის“ ამპლუის შემდეგ დაჩი, როგორც მსახიობი, ქართველმა მაყურებელმა ახლახან გაიცნო. 2 დეკემბერს, სწორედ მახმალბაფის ფილმით გაიხსნა თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი. არ იცოდა, როგორ მიიღებდა ქართველი მაყურებელი მის სადებიუტო როლს, თუმცა როგორც იხსენებს, ფილმის დასრულების შემდეგ დარბაზში ოვაციები არ წყდებოდა.

„ჩემთვის საინტერესო იყო თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი. იქ ბევრ ქართველ რეჟისორს შევხვდი. ცუდი ის იყო, რომ პრესკონფერენცია არ გვქონდა და მხოლოდ ფილმი აჩვენეს. ვფიქრობ, ქართველ მაყურებელს მოეწონა. ქუჩაში უკვე მცნობს ხალხი“.

ჯერჯერობით შემოთავაზებები სხვა რეჟისორებისგან არ მიუღია. ამბობს, რომ მისი საოცნებო როლი ჯეიმს ბონდია. თუმცა სანამ რეჟისორი სასურველ როლზე მიიწვევს, ამ პროფესიით თვითონ დაინტერესდა და მძაფრსიუჟეტიან ფილმებს თავად ქმნის. მთავარ როლებს თვითონ, დედა და და ასრულებენ. ბებო - ოპერატორია. 7 წლის ასაკში სამსახიობო კარიერაში მოპოვებული წარმატების მიუხედავად არ იცის, იქნება თუ არა ეს პროფესია მისი საბოლოო არჩევანი. ამჯერად სპეცრაზმელობასა და რეჟისორობაზე ფიქრობს.

ანი ყურაშვილი

აქტიური მოქალაქეობა ლევან ლორთქიფანიძის სტანდარტია

ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრია, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით. საშოქალაქო აქტიურობის გამო ბევრი სტუდენტი ცნობს და ხედავს მას სხვადასხვა გადაცემასა თუ აქციაზე. დღეს საყდრისის დასაცავად გამართული აქციის გამო შეხვედრაზე აგვიანდება, ბოდიშს იხდის, არაერთხელ. თსუ-ის ეზოში სამშობლოს თავისუფლებისათვის მეგრძოლ უნივერსიტეტელთა ხსოვნის მემორიალის პირდაპირ ვსხდებით.

ლევან ლორთქიფანიძე 1992 წელს ქალაქ თბილისში საპარლამენტო არჩევნების დღეს 11 ოქტომბერს დაიბადა. ასე რომ, მისი დაბადების თარიღი ისტორიაში უკვე წერია. მამა საგანმანათლებლო სფეროშია ჩართული, დედა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი გახლავთ. მისი უფროსი დაც ამ განხრით სწავლობს თსუ-ში, ისევე, როგორც მანამდე ბებიამისი სწავლობდა. უმცროსი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩასაბარებლად ემზადება. თავად მიიჩნევს, რომ ძალიან მშვიდ და წყნარ გარემოში გაიზარდა, თუმცა როგორც ყველა „ოთხმოცდაათიანელს“, მასაც მოუწია გაჭირვების გამოვლა.

სწავლობდა ქალაქ თბილისის მეექვსე ქართულ-გერმანულ გიმნაზიაში.

„გერმანულ ენას, გერმანულ კულტურას მასწავლიდნენ, გვქონდა ძალიან კარგი სამოქალაქო განათლების კურსები. ძალიან კარგი მასწავლებლები მყავდა და დღემდე ვამაყობ ამით“, - ლევანი განგვიმარტავს, რომ სწორედ ისინი დაეხმარნენ მომავალი პროფესიის არჩევაში. ჰყავდა ბევრი სხვა მრჩეველიც „იურისტი ყველას სჭირდებას“ მსგავსი ფრაზებით, თუმცა მაინც ეს სფერო არჩია. მიიჩნევს, რომ სწორადაც მოიქცა. სურს, მეგობრებთან ერთად, თუნდაც პატარა აგური დადოს ამ მეცნიერების განვითარების გზაზე საქართველოში.

პოლიტიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებასაც სკოლისა და საკუთარი ცოდნის ტანდემის დამსახურებად მიიჩნევს. მემარცხენე იდეების მტარებელია. „ძალიან მომწონდა საფრანგეთის რევოლუცია, აბსოლუტიზმის დამხობა. საქართველოს ისტორიიდან ვგიჟდებოდი და დღემდე ჩემი ინტერესის სფეროა დემოკრატიული რესპუბლიკა“, - ამბობს ლევანი და ფიქრობს, რომ მემარცხენეების ძელახული სტატუსი საბჭოთა კავშირის ბრალია. ეს სიტყვა ასოცირდება მარქსიზმთან, რადიკალიზმთან, სიგიჟესთან. დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში განვითარებული ქვეყნები, ძირითადად, სოციალურ-დემოკრატიული პარტიებით იმართებოდნენ. მისი იდეალიც გერმანია, შვედეთი, ფინეთი და ბედნიერების ინდექსით მოწინავე ადგილებზე მყოფი ქვეყნები არიან.

ლევან ლორთქიფანიძე ძალიან აქტიური სტუდენტია. შეიძლება პრეტენზიებიც კი მოისმინოთ, რომ ყველაფერში ერევა და ყველაფერზე ლაპარაკობს. მისი აზრით, ასე სულაც არ არის და ამ აქციებზეც იმიტომ დადის, რომ დაიცვას თავისი პოლიტიკური ღირებულებები.

„საქართველოში მივიჩნევი აქტიურ ადამიანად, თორემ ევროპის ქვეყნებში ეს მოქალაქეობრივი აქტიურობა ელემენტარული სტანდარტია“, - ამბობს ლევანი და გამოთქვამს სურვილს, რომ უბედურებაგამოვლილი საბჭოთა კავშირის სტანდარტები ამ ახალი სტანდარტებით ჩაანაცვლოს.

„ნათქვამია, ერთ წვეთ წყალს ქვის გახეთქვა შეუძლიაო, თუ ეს წვეთი იქნება პერმანენტული, პერიოდული, არ გაჩერდება, არ გაიყიდება, პარტიაში არ შევა, საკრებულოში არ შევა, ვინმეს არ მიემხრობა“. ლევანი თავადაც ცდილობს ეს ერთი წვეთი წყალი იყოს, უარი თქვას პარტიებიდან წამოსულ შემოთავაზებებზე, რომლებიც არ აკლია. თავისი ასაკის მიუხედავად, პოლიტიკურ სპექტრში ყველანაირი სახის წინადადება უკვე მიიღო. ჯერჯერობით ახერხებს ამ ბეწვის ხიდზე სიარულს და დამატებითი შემოსავლების ცდუნებაზე უარის თქმას.

საკრებულოში არა, მაგრამ თსუ-ის სენატში შესვლა ნამდვილად სურდა და 2014 წლის 12 ნოემბერს გამართული არჩევნების შედეგებით პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი გახდა. იცის, რომ სერიოზულ მიზნებს ვერ მიაღწევს, რადგან ერთი ადამიანი ამას ვერ შეძლებს. მას მხარში უდგას იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ირაკლი კუპრაძე და ისინი მზად არიან, ერთად იბრძოლონ. ლევანის მიზანია, სტუდენტების ხმა მიიტანოს სენატამდე და სენატის გადაწყვეტილებები სტუდენტებამდე. ამ დრომდე ჩატარებული ორივე სხდომის ანგარიში უკვე წარმოადგინა საკუთარ ბლოგზე. უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესშია, პროექტს ათი დღით აღრე მიაწვდიან და გეგმავს, რომ ჩაატაროს საჯარო განხილვები, მინიმუმ, ორი. მოიწვევენ ახალგაზრდულ ასოციაციებს, რიგით სტუდენტებს, პროფესორებს და შეიმუშავებენ პეტიციას.

ლევანი გახლავთ სტუდენტური ოპოზიციური ჯგუფის „ნარინჯისფერი კლუბის“ ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი, ასევე არის ახალგაზრდა ეკოლოგისტური მოძრაობის „მწვანე მუშტის“ შემადგენლობაში, გაწევრიანებულია „თბილისის ფაბიანურ საზოგადოებაში“, რომელიც საინიციატივო ჯგუფს წარმოადგენს. მათი პროდუქტი -„მემარცხენეობის ქართული ქრესტომათია“ წლის ბოლომდე ან მომავალი წლის დასაწყისში იხილავს დღის შუქს. წიგნს 4 ავტორ-შემდგენელი ჰყავს. მასში წარმოდგენილია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი პუბლიცისტების ნაშრომები. პოლიტიკურ-იდეოლოგიური საკითხები განხილულია ირაკლი (კაკი) წერეთლის, ვლადიმერ დარჩიაშვილის, ნოე ჟორდანიასა და იმ ადამიანთა წერილების მიხედვით, რომლებიც დიდი ილიასა და აკაკის ფონზე დაიჩრდილნენ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონები არიან. წიგნში შესულია ქართველი ფემინისტების, ანარქისტების, სოციალ-დემოკრატებისა და რადიკალ-მარქსისტების პუბლიცისტური ნაშრომები. წიგნზე დახარჯული დროის გამო, ვეღარ აქცევდა შესაბამის ყურადღებას ბლოგს, სახელად „საარჩევნო მიმოხილვა საქართველოსთვის“. ბლოგი 2011 წლიდან არსებობს და მსოფლიოში მიმდინარე საარჩევნო პროცესების სიახლეებსა და ანალიზს ავრცელებს.

ოცნებობს, რომ გამოუჩნდეს თავისუფალი დრო და რესურსი არქივების, საჯარო ბიბლიოთეკის დახურული ფონდების გადასაქექად. ფიქრობს, რომ ამ მასალით „მემარცხენეობის ქართული ქრესტომათიის“ ათეულობით ტომის გამოცემასაც შეძლებს. საკუთარ თავს სამეცნიერო საქმიანობაში ხედავს. სურს ასისტენტ-პროფესორი გახდეს. ჰყავს მისაბაძი პროფესორები: რევაზ გაჩეჩილაძე (ამუამად ბრიტანეთის ელჩი) და ნათელა დონაძე (სოციოლოგიის მიმართულების პროფესორი). არიან ლექტორები, რომელთაგანაც მხარდაჭერას და მზრუნველობას გრძნობს, აგრეთვე ლექტორები, რომლებსაც მისი, თუნდაც უკანა რიგში, დანახვა არ სიამოვნებთ, რადგან ლევანის აქტიურობა და კითხვები უხერხულ მდგომარეობაში აგდებთ.

სწავლისა და სამოქალაქო აქტიურობისგან თავისუფალ დროს ისიც გართობის ჩვეულებრივ ხერხებს მიმართავს:

„ზოგს ჰგონია, რომ ლევან ლორთქიფანიძე არის განსხვავებული, მოწყვეტილი ადამიანი, რომელიც არ ცოცხლობს, დრო არ აქვს არაფრისთვის და ა.შ. მე არაფრით არ განვსხვავდები რიგითი სტუდენტისაგან. მყავს მეგობრები, რომლებთან ერთადაც დროის გატარება მიყვარს სხვადასხვა ფორმით, მყავს მხატვრული ლიტერატურის საყვარელი წარმომადგენლები“.

მისი სამაგიდო წიგნი თომას მანის „ჯადოსნური მთაა“ და სურს, რომ კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა წაიკითხოს. მარინუანა და ხმამაღალი მუსიკა მას არ იზიდავს, თუმცა სხვების ინტერესებს პატივს სცემს. მისმა ძველმა და ახალმა მეგობრებმა იციან, რომ ცოტა არაორდინალური პიროვნებაა სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით და არც მისი მოუცლელობის გამო უჩივიან. მეგობრებთან ერთად, დებიც ეუბნებიან, რომ ის არის „გიჟი“ და იცის რასაც აკეთებს.

ანა შარაძე

ოსკარზე წარსადგენ 9 უცხოენოვან ფილმს შორის ორი ქართულია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ ოსკარის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციის მოკლე სიაში მოხვდა. „სიმინდის კუნძული“ ოსკარზე საქართველომ წარადგინა, „მანდარინები“ კი ოსკარის მოსაპოვებლად ესტონეთის სახელით იბრძოლებს.

ამერიკის კინოაკადემია უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში ნომინანტების შერჩევის პროცესს ორ ეტაპად ყოფს - თავდაპირველად, წარდგენილი ფილმებიდან დგება მოკლე ნუსხა, ხოლო შემდეგ ამ ნუსხიდან ირჩევა 5 საუკეთესო ფილმი, რომელიც ოსკარის მოსაპოვებლად იბრძვის. კინოაკადემიამ ოსკარის 87-ე დაჯილდოების ცერემონიისთვის 83 უცხოენოვანი ფილმიდან შეარჩია 9, რომელთაგანაც საუკეთესო ხუთეულს 15 იანვარს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს.

ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“ ქართულ-ესტონური პროდუქტია, რომელიც ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდ „ევრიმაჟის“ დაფინანსებით შეიქმნა. ფონდმა „მანდარინები“ 110 000 ევროთი დააფინანსა და მისი ოსკარზე წარდგენის უფლებაც მოიპოვა.

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენს ნამუშევარს სხვა წარადგენს. ესტონეთს ფილმში მეტი თანხა აქვს ჩადებული და თავისუფლად შეეძლო მისი ოსკარზე წარდგენა“, - აცხადებს ფილმის რეჟისორი ზაზა ურუშაძე.

ფილმი მოგვითხრობს აფხაზეთში მცხოვრებ ესტონელებზე. ომის დროს ესტონეთის ხელისუფლებამ ადგილობრივები ქვეყნიდან გაიყვანა, თუმცა რამდენიმე მათგანი თავისი სურვილით დარჩა. ფილმის სიუჟეტი აფაზეთის ომის ფონზე მიმდინარეობს და მასში აღწერილია ერთ-ერთი ესტონელის სახლში მოხვედრილი დაჭრილი ქართველი და ჩეჩენი ჯარისკაცების ურთიერთობა. „მანდარინებს“ არაერთი ჯილდო ხვდა წილად. ამ ფილმისთვის ზაზა ურუშაძემ ესტონეთის კინოკრიტიკოსთა პრიზი მიიღო, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელ ლემბიტ ულფსაკს ჯილდო საუკეთესო როლისთვის ერგო. ზაზა ურუშაძემ ესტონური კულტურის პოპულარიზაციისთვის განსაკუთრებული მადლობა და პრიზი ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისგანაც მიიღო. ფილმი ასევე გახდა „ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის“ ორი ნომინაციის - „საუკეთესო რეჟისურისა“ და „აუდიტორიის ჯილდოს“ გამარჯვებული. საერთო ჯამში, ფილმმა 15-ზე მეტი ჯილდო და პრიზი მოიპოვა.

რაც შეეხება გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძულს“, ეს ფილმიც რამდენიმე ქვეყნის კოპროდუქციაა. ფილმის სიუჟეტი ვითარდება მდინარე ენგურზე, სადაც გლეხები გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ წარმოქმნილ კუნძულებზე სიმინდის მოსაყვანად ნოყიერი ნიადაგის მოძებნას ცდილობენ. ფილმში დიალოგების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. მისი მთავარი გმირები კი აფხაზი ბაბუა, მისი შვილიშვილი და ქართველი ჯარისკაცი არიან.

„ეს არის ადამიანისა და ბუნების ბრძოლა, ჰარმონიული თანაცხოვრების მცდელობა, იდეალების დაცვა და შენარჩუნება, ჩაკეტილი სივრცის გარღვევის სურვილი, სიყვარულის ისტორია და აფხაზურ-ქართული ურთიერთობები“, - ასე აფასებენ ფილმს ქართველი კინოკრიტიკოსები.

„სიმინდის კუნძულის“ შექმნა 1,5 მილიონ ევრომდე დაჯდა. მისი სპონსორობა რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციამ საკუთარ თავზე აიღო. მათ შორის არიან საქართველოსა და აჭარის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროები, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და „ევრიმაჟი“. „სიმინდის კუნძულმა“ კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი მოიპოვა. გიორგი ოვაშვილის თქმით, ფილმის ოსკარის ნომინანტებში წარდგენა სასიამოვნო და მნიშვნელოვანი გამოწვევაა:

„ვფიქრობ, ასე იმიტომ მოხდა, რომ მთელმა ჯგუფმა ფილმზე თავდაუზოგავად იმუშავა. ფილმის გადაღების დროს არ ვფიქრობდი არცერთ პრიზსა თუ ფესტივალზე. ჩემი ამოცანა იყო, გადაღება წარმატებით დამესრულებინა“, - ამბობს ფილმის რეჟისორი.

„სიმინდის კუნძულთან“ და „მანდარინებთან“ ერთად კინოაკადემიის მოკლე ნუსხაში ასევე მოხვდნენ: „Wild Tales“ (არგენტინა), „Timbukt“ (მავრიკია), „Accused“ (ჰოლანდია), „Ida“ (პოლონეთი), „Leviathan“ (რუსეთი), „Force Majeur“ (შვედეთი), „The Liberator“ (ვენესუელა). ოსკარის დაჯილდოების 87-ე ცერემონია 22 თებერვალს დოლბის თეატრში გაიმართება.

ანი ბარისაშვილი

აკუა ნარუ თბილისში

„Alter Vision“ ჯგუფი თბილისელებს 31 დეკემბრის ღამეს საჩუქარს უმზადებს - საახალწლოდ დედაქალაქში თანამედროვე ჰიპ-ჰოპისა და სოულის შემსრულებელი აკუა ნარუ ჩამოდის. საახალწლო კონცერტი ქართველ მუსიკოსებთან „მწვანე ოთახთან“, „სალიოსთან“ და „ლაშა კრაფტთან“ ერთად მუზეუმ „ქარვასლაში“ გაიმართება.

კლასიკური ჰიპ-ჰოპი, საოცარი ლირიკა, სიღრმისეული რითმები და წარმოუდგენელი, დახვეწილი მუსიკალურობა - ასე აფასებენ აკუა ნარუს შემოქმედებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მან წერა ადრეულ ასაკში დაიწყო, რაც, მოგვიანებით, მისი ღრმა ტექსტებითა და არაორდინალური მუსიკალური დადგმებით გამოიხატა. მომღერლის სადებიუტო ალბომი მუსიკალურმა სამყარომ პირველად 2001 წელს გაიცნო, მას შემდეგ კი წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობს.

დაგეგმილი კონცერტი ახალი წლის ღამეს მუზეუმ „ქარვასლას“ მთელ ტერიტორიასა და სივრცეს მოიცავს. საღამოს ამერიკელი მუსიკოსი თავის ბენდთან ერთად გახსნის. ბარაბანი, კლავიში, საქსაფონი, ფლეიტა, გიტარა, ბასგიტარა, ფირსაკრავი - ეს ის კლასიკური ინსტრუმენტების არასრული ჩამონათვალია, რომელთა თანხლებითაც აკუა ნარუ ქართველი მსმენელის წინაშე წარდგება.

„პროგრამა მთლიანად იქნება მორგებული ქართველ მსმენელზე. ჩვენს კონცერტებზე ყოველთვის ასე ხდება და არც ეს შემთხვევა იქნება გამონაკლისი. გველოდება ახალი წლის ეგზოტიკური, საინტერესო და განსხვავებული საღამო. საღამოს ქართველი მუსიკოსებიც შემოგვთავაზებენ ისეთ ცოცხალ კონცერტს, როგორიც ჯერ არასდროს გაუმართავთ“, - ამბობს „Alter Vision“-ის წევრი დათო ცინცაძე.

აკუა ნარუ „მწვანე ოთახთან“ ერთად შეასრულებს სალომე კორკოტაშვილის მიერ დაწერილ სიმღერას, რომელსაც ისინი თაყვანისმცემლებს მიუძღვნიან.

„ეს სიმღერა და მელოდია, რაზეც კლიპს ვიღებთ, დიდი ხნის წინ დავწერე. ყოველთვის მინდოდა, რომ სადმე მემღერა. სიმღერა აჩიკო გულედანთან ერთად ინგლისურად გადავაკეთეთ და ახლა შევასრულებთ. ძალიან კმაყოფილი ვარ იმიტომ, რომ აკუა ნარუ ჩემთვის დღეს ერთ-ერთი ყველაზე მაგარი არტისტია“, -ამბობს სალომე კორკოტაშვილი.

მუზეუმი „ქარვასლა“, რომელიც ახალი წლის საღამოს ამ კონცერტს უმასპინძლებს, სპეციალურად ამ დღისთვის მოირთვება. პირველ სართულზე განთავსდება სცენა და საცეკვაო მოედანი, ხოლო მეორე და მესამე სართულებზე დაიდგმება მაგიდები.

ცნობილი ამერიკელი შემსრულებელი ახალ წელს „ქარვასლაში“ ქართველ მელომანებთან და შემსრულებლებთან ერთად შეხვდება. მანამდე კი მსმენელს „Alter Vision“ ჯგუფი აკუა ნარუსთან პირველი კოლაბორაციის შედეგს წარუდგენს.

ლევან მორჩიაშვილი

მსახიობი გოგა გველესიანი თავისი პროფესიული ცხოვრების შესახებ



გოგა გველესიანი დაიბადა 1965 წელს. 1983 წლიდან მუშაობდა კინომსახიობთა თეატრში შტატგარეშე მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ, პარალელურად თამაშობდა სპექტაკლებში. 1990 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1998 წლიდან კი რუსთაველის თეატრის მსახიობია.

- როგორ დაიწყო თქვენი თეატრალური კარიერა?

ჩემი თეატრალური კარიერა დაიწყო მარცხით, თუკი შეიძლება ამას მარცხი ვუწოდოთ. პირველ წელს ვერ ჩავაბარე და მიხეილ თუმანიშვილმა თავის თეატრში შტატგარეშე მსახიობად წამიყვანა, აქ 4 წლის განმავლობაში ვიყავი მის გვერდით. ვთამაშობდი სპექტაკლებში და დავეუფლე მსახიობის ოსტატობას. მე რომ პირველ წელს ჩამებარებინა, სხვა პედაგოგთან მოვხვდებოდი და ვინ იცის, ან გამოვიდოდი მსახიობი ან არა. ასე რომ, კინომსახიობთა თეატრში ავიდგი ფეხი, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ ბატონი მიშასი. მან ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ისევ წამიყვანა კინომსახიობთა თეატრში და მის გარდაცვალებამდე იქ ვიყავი, თავს მშვენივრად ვგრძნობდი. ბატონი მიშას გარდაცვალების შემდეგ დამრჩა დიდი სიცარიელე, რასაც ვერ გავუძელი, დავწერე განცხადება და წამოვედი.

- რა გიყვართ თეატრში, როგორც მაყურებელს და როგორც მსახიობს?

- როგორც მაყურებელს, საინტერესო სპექტაკლი და სახეები, პერსონაჟები მიყვარს. ხოლო როგორც მსახიობს, საინტერესო რეჟისორთან საინტერესო პიესაში საინტერესო როლი. ამ შემთხვევაში, მე ძალიან გამიმართლა. მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა და დავით დოიაშვილი - ამ სამ რეჟისორთან მიწევდა და მიწევს მუშაობა. მსახიობები მათგან ერთზე მაინც ოცნებობენ და მე სამივე შემხვდა, რისთვისაც განგების მადლიერი ვარ. უნდა აღვნიშნო თემურ ჩხეიძე, რომელთან მუშაობის ბედნიერებაც, სამწუხაროდ, არ მქონია.

- სად უფრო კომფორტულად გრძნობთ თავს, კინოში თუ თეატრში?

- რა თქმა უნდა, თეატრში. იმდენად, რამდენადაც მე, ჩემდა სამწუხაროდ, კინოში დიდი გამოცდილება არ მაქვს, ცოტა ფილმში მაქვს მონაწილეობა მიღებული. თუმცა საინტერესო შემოთავაზებებს სიამოვნებით დავთანხმდებოდი.

- რომელია თქვენი საყვარელი სპექტაკლი, რომელზე მუშაობაც არასდროს დაგავიწყდებათ?

- ჩემდა საბედნიეროდ, ასეთი სპექტაკლი რამდენიმეა. ესენია: „ზაფხულის ღამის სიზმარი“ მიხეილ თუმანიშვილთან, „ცხოვრება იდიოტისა“ დავით დოიაშვილის სპექტაკლში, რომელიც უშუქობასა და და უწყლობაში, სანთლების შუქზე დავდგით. შემდეგ რობერტ სტურუასთან „გოდოს მოლოდინში“, რომლის რეპეტიციებიც თურქეთში, ზღვაზე გვქონდა. ზაფხული იყო და თან დაგვასვენეს, თან ვიმუშავეთ. აქ შესრულებული როლი (ლაქი) თეატრმცოდნეებმა 2004 წლის მამაკაცის საუკეთესო როლად აღიარეს და ბოლოს, ვთამაშობ ისევ დავით დოიაშვილთან ახლახან დადგმულ სპექტაკლში „ფსკერზე“ ლუკას როლს, რომლის რეპეტიციებიც სულ რაღაც 28 დღეს გაგრძელდა. მშვიდი და თბილი მოგონებები დამრჩა. კიდევ გამოვყოფდი სტუდენტურ სპექტაკლს „ქამუშაძის გაჭირვება“, სადაც უფროს ჯგუფში მიმიწვიეს. უსიტყვო როლი მქონდა და დღემდე ახსოვთ მათ, ვისაც ნანახი ჰქონდა. რეჟისორი ოთარ ბაღათურია იყო.

- დღევანდელი საზოგადოება რამდენად არის დაინტერესებული თეატრით?

- ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება არ დადის თეატრში. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი მოთხოვნა ცოცხალ ხელოვნებაზე. სამწუხაროდ, მასმედია სათანადოდ აქტიური არ არის. თუ სპორტსმენები მიდიან ოლიმპიადაზე ან რომელიმე შეჯიბრზე, ეს ამბავი შუქდება, მათ სხვადასხვა ტოქშოუში იწვევენ. ჩვენც დავდივართ საზღვარგარეთ, ყოველთვის წარმატებით ვბრუნდებით, თანაც სულ გამარჯვებებით, მაგრამ კაციშვილი ამას ყურადღებას არ გვაქცევს.

- რას მიიჩნევთ დღევანდელი ქართული თეატრის მთავარ პრობლემად?

- მეტი დაფინანსებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან, რათა რაც შეიძლება ბევრი სპექტაკლი დაიდგას და მსახიობს მათხოვრულად არ ეცვას, არ შიოდეს, ჰქონდეს დამსახურებული ხელფასი, ფუფუნებაზე აღარც ვოცნებობ. ალბათ, გინახავთ საზღვარგარეთ მცხოვრები მოქმედი მსახიობი. ვარსკვლავს შეგნებულად არ ვწერ, რადგან აქ მსახიობებს ვარსკვლავებს გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, ან გარდაცვალების მერე უსნიან. ჯობს, სიცოცხლეში დააფასონ და შეაფასონ ადამიანი, მაშინ, როცა აქტიურ შემოქმედებით პროცესშია.

- როგორც ხელოვანი, როგორ აფასებთ ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესებს?

- მიმაჩნია, რომ დროდადრო შეიძლება დადგეს კრიზისი, მაგრამ ყველაფერი დროებითია. დღეს საქართველოს ჰყავს ისეთი რეჟისორები, როგორებიც არიან რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, დავით დოიაშვილი, ლევან წულაძე, დავით საყვარელიძე, გიორგი თავაძე და ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ტალანტითა და ნიჭით დაჯილდოებული, დათა თავაძე. ამიტომ, ვფიქრობ, საშიშროება არ გვემუქრება. აღარაფერს ვამბობ იმ მსახიობებზე, რომელთა ჩამოთვლასაც, უბრალოდ, ვერ აუვალთ.

მარიამ მეიფარიანი

გალერეა 27

„გალერეა 27“ ე.წ. „თბილელის ქარვასლაში“, ანუ თბილისის ისტორიის მუზეუმში მდებარეობს. გალერეის ორიგინალური სახელწოდება მისი ფართობიდან გამომდინარეობს, რადგანაც ის სულ 27 კვადრატულ მეტრს მოიცავს, თუმცა ამ პატარა სივრცეში უამრავ საინტერესო ხელოვნების ნიმუშს შეხვდებით. აქ ყველაფერი ხელნაკეთია: კედლის პანოები, ტანსაცმელი და აბრეშუმის მოხატული თავსაფრები, აქსესუარები, ჩანთები, თოჯინები, ბლოკნოტები, ღია ბარათები, საახალწლო მოსართავები, თექის სათამაშოები, ნატურალური საპნები, ასევე საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული ტრადიციული „ლურჯა სუფრების“ ასლები და ბოლოს, ძველი ჟურნალ-გაზეთებისაგან დამზადებული კალათები.

გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრების შეძენა, რასაკვირველია, ნებისმიერი მსურველისათვისაა შესაძლებელი. მისი დაარსების იდეა მხატვარ ნინო ყვავილაშვილს ეკუთვნის.

- მოგვიყევით მოკლე ისტორიას, როგორ შეიქმნა „გალერეა 27“?

- მე მხატვარი ვარ, მაქვს ტექსტილის სახელოსნო მეგობრებთან ერთად, სადაც ძირითადად ვმუშაობთ აბრეშუმის ხელით მოხატვაზე. ამ ტექნიკას ბატიკა ეწოდება. უკვე 20 წელია ვარსებობთ, 1994 წლიდან. ჩვენს სახელოსნოს „La Maison Bleue” ჰქვია, რაც ქართულად „ლურჯ სახლს“ ნიშნავს. წელიწად-ნახევრის წინ სახელოსნოს წევრებს შემოგვთავაზეს ფართი საქირავებლად, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა უარი თქვეს, რადგან ფასი საკმაოდ მაღალი იყო. გადავწყვიტე დამექირავებინა. გალერეაში წარმოდგენილია როგორც „La Maison Bleue”-ს, ასევე სხვა მხატვრების ნამუშევრები. „გალერეა 27“ 2013 წლის აგვისტოდან მუშაობს.

- რა მიზანს ემსახურება ის?

- ჩვენი მიზანია ავამაღლოთ ხელნაკეთი ნამუშევრების ხარისხი. არ მინდა, რომ აქ იყიდებოდეს ის, რაც ბევრ სხვა მაღაზიაშია - სამწუხაროდ, ძალიან დაბალი ხარისხის და უგემოვნო. შეიძლება, ძალიან ამბიციურად ჟღერს, მაგრამ მე მაქვს პრეტენზია, რომ ჩემთან არის განსხვავებული, ხარისხიანი ნამუშევრები და არ არის ის, რაც ყველგან.

- ვისზეა გათვლილი და რამდენად მოთხოვნადია ნამუშევრები?

- ჩვენი ნამუშევრები გათვლილია ძირითადად ტურისტებზე, ან უცხოელებზე, რომლებიც აქ მუშაობს. ასევე ქართველებზე, რომელთაც სჭირდებათ საჩუქრები უცხოეთში გასაგზავნად ან წასაღებად. პროცენტულად უცხოელი ბევრად მეტია. ყველაზე დიდი მოთხოვნა ლურჯ სუფრებზეა, მეტ-ნაკლებად იყიდება ტანსაცმელი, სათამაშოები და აქსესუარები.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია ფასები მყიდველთათვის?

- თავიდან ძალიან მინდოდა დაბალი ფასის დადება ნამუშევრებზე, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა მაღალი ქირის გამო. ამიტომ ფასებიც, შედარებით, მაღალია.

- როგორც თქვით, გალერეაში მხოლოდ თქვენი შექმნილი ნამუშევრები არ არის, რას გვეტყვით სხვა ავტორებზე?

- მყავს ახალგაზრდა ავტორები ყაზბეგიდან, რომლებიც საკმაოდ საინტერესო ნამუშევრებს ქმნიან. სტუდენტებიც არიან, ასევე წეროვანში მცხოვრები ლტოლვილი ქალბატონები, რომლებიც ქსოვენ ძალიან ლამაზ სუფრებსა და თავსაფრებს, აკეთებენ ძალიან საყვარელ თოვლის ბაბუებს, ასევე წარმოდგენილია რამდენიმე გრაფიკოსი მხატვრის ნამუშევარი. ძალიან მინდა, მოვიზიდო კარგი მქარგავები, მაგრამ ვერ ვპოულობ, რადგან ქარგვა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. მხოლოდ ერთი ქალბატონი მყავს, რომელიც საკმაოდ მაღალი ხარისხის ნამუშევრებს ქმნის. საერთოდ, მგონია, რომ ეს ხელობა დღეს ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

- ძირითადად რა მასალისგანაა დამზადებული ნამუშევრები?

- გვაქვს აბრეშუმის პანოები და თავსაფრები, პოლიმერული თიხის ნაწარმი, სელის, ანგორისა და თექის ნაწარმი, დეკუპაჟის ტექნიკით გაფორმებული ხის ნამუშევრები, ტიხრული მინანქრის ტექნიკით შესრულებული ვერცხლის ნაკეთობები. ასევე გვაქვს ძველი ჟურნალ-გაზეთებისგან დამზადებული კალათები. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, ვგულისხმობ გაზეთების მეორეულ გამოყენებას, მათი შეძენით ჩვენ ხელს ვუწყობთ ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიის დანერგვას საქართველოში.

- ნამუშევრები ასაკობრივ ჯგუფებზეცაა გათვლილი?

- დიახ, გვაქვს თოჯინები და სათამაშოები, თუმცა მათ ძირითადად დიდები ყიდულობენ.

- თუ გაქვთ დაგეგმილი, გახსნათ კიდევ ერთი „გალერეა 27“ თბილისში ან მის გარეთ?

- ჯერჯერობით არა, მაგრამ ძალიან მინდა ოდესმე „ონლაინ შოპინგის“ აწყობა, ანუ ნამუშევრების ინტერნეტით გაყიდვა უცხოეთში, და არა მარტო უცხოეთში. თუმცა ეს ძალიან რთული საქმეა.

- და ბოლოს, რას ეტყოდით ხალხს, ვინც ჯერ არ იცნობს „გალერეა 27“-ს?

-თუ გსურთ ხარისხიანი, გემოვნებიანი, ხელნაკეთი ნივთების შეძენა, თქვენთვის ან საჩუქრად, მობრძანდით ჩვენთან!

ანა პაატაშვილი

ჩემპიონთა ლიგის მოლოდინში

„ჩემპიონთა ლიგის“ 2014-15 წლის ფინალური ეტაპები 17 თებერვალს დაიწყება. ეს თარიღი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც 15 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის კენჭისყრა ჩატარდა.

„მანჩესტერ სიტი“ დაუპირსპირდება ესპანურ კლუბ „ბარსელონას“. აღნიშნული მატჩი ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პელეგრინის („მანჩესტერ სიტის“ მთავარი მწვრთნელის) შეგირდებს გასული წლის მარცხისთვის რევანში აქვთ ასაღები (1/16 ფინალში „ბარსელონამ“ ორი მატჩის ჯამში 4-1 გაიმარჯვა), შეხვედრა უფრო საინტერესო იქნება. მეორე მხრივ, ბარსელონას შემტევი ხაზი გაძლიერებულია „პრემიერ-ლიგის“ ყოფილი ფეხბურთელით, ლუის სუარესით, რომელიც ზაფხულის ტრანსფერის შემდეგ პირველად დაბრუნდება ინგლისში. კატალონიელებს ამოცანას გაურთულებს არგენტინელი თავდამსხმელი სერხიო აგუერო, რომელიც სეზონს ბრწყინვალეედ ატარებს - მას 15 თამაშში 14 გოლი აქვს გატანილი და „პრემიერ-ლიგის“ ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზეა. ორივე გუნდი სეზონს მაღალ დონეზე ატარებს და როგორც „ბარსელონა“, ისე „მანჩესტერ სიტიც“, თავიანთ სატურნირო ცხრილებში მეორე პოზიციაზე არიან. პირველი შეხვედრა, რომელსაც ფეხბურთის ყველა ქომაგი მოუთმენლად ელის, 24 თებერვალს ინგლისში გაიმართება. საპასუხო მატჩს კი 18 თებერვალს ქალაქი ბარსელონა „კამპ ნოუზე“ უმასპინძლებს.

სცენარი მეორდება და არანაკლებ დიდი ინტერესით ელის საფეხბურთო სამყარო ლონდონური კლუბის „ჩელსისა“ და „პარი სენ-ჟერმენის“ დაპირისპირებას. გასული წლის შეხვედრა ევროტურნირზე „არისტოკრატების“ (ასე უწოდებენ „ჩელსის“ ფეხბურთელებს) გამარჯვებით დასრულდა. პარიზში გამართულ მატჩში 3:1 დამარცხდა, თუმცა საკუთარ კედლებში, „სტემფორდ ბრიდჯზე“, მშრალად შენახული კარის (2:0) წყალობით, შემდეგ ეტაპზე გასვლა მოახერხა. პირველი შეხვედრა გაიმართება საფრანგეთში 17 თებერვალს, რაც უფრო ამძიმებს ლორან ბლანის („პსჟ“-ს მთავარი მწვრთნელის) გუნდის ვითარებას. უფრო მეტიც, „ჩელსი“, გასული წლისგან განსხვავებით, გაცილებით გაძლიერდა. გუნდს შეემატნენ ესპანელი ფეხბურთელები დიეგო კოსტა და სესკ ფაბრეგასი. „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს როლი ძალზე დიდია. მისი ხელმძღვანელობით კლუბი დივიზიონში პირველ ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ წილისყრამდე ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ ვის ისურვებდა მეტოქედ, მან შემდეგი პასუხი გასცა:

„მე ვიტყოდი „პსჟ“-ს, აღვილია იქ გამგზავრება, ხელსაყრელია გულშემატკივრებისთვის, რადგან არ მოუწევთ ზევრი ფულის დახარჯვა. ის ძალიან კარგი გუნდია, სწორედ ასეთი მინდა ჩემი ბიჭების მოტივაციის ასამაღლებლად. ასე რომ, მე რომ შემეძლოს, ვიტყოდი „პსჟ“-ს, თუმცაღა არ შემიძლია“.

პორტუგალიელ სპეციალისტს, შეიძლება ითქვას, სურვილი აუხდა. თუმცა თუ გადავხედავთ „პსჟ“-ს შემადგენლობას (ბრაზილიის ნაკრების დაცვის ცენტრის დუეტი, დავიდ ლუიზი-ტიაგო სილვა, გამოცდილი ნახევარმცველი ტიაგო მოტა, ახალგაზრდა და უნიჭიერესი ვერატი, ლუკასი, პასტორე, ვარსკვლავური წინახაზი - ლავეცი, კავანი და იბრაჰიმოვიჩი), ვნახავთ, რომ შანსები საკმაოდ თანაბარია და გამოკვეთილ ფავორიტად ლონდონური კლუბის დასახელება არამართებულია.

„ეს მონაკოა, მონაკო. ვენგერი გახარებული იქნება წილისყრის შედეგით“, - ასეთია მორიგი ლონდონური კლუბის „არსენალის“ ნახევარმცველის მესუთ იოზილის კომენტარი „ტვიტერზე“. ეს კომენტარი, ალბათ, ყველაზე კარგად აჩვენებს არსენალის ფეხბურთელებისა და მთავარი მწვრთნელის, არსენ ვენგერის წინასამატჩო განწყობას. ბოლო წლების განმავლობაში „მეთოთვეებს“ („არსენალის“ გუნდის მეტსახელი) დოლურა არ სწყალობდა. მათი მოწინააღმდეგეები იყვნენ გრანდები: „ბარსელონა“, „მილანი“, „ბაიერნი“ და ა.შ. ორმა მათგანმა, „ბარსელონამ“ და „ბაიერნიმ“, იმ წელს, როდესაც „არსენალის“ გამოთიშვა შეძლეს, ტურნირიც მოიგეს. ასე რომ, „მონაკო“ ის ბარიერია, რომლის დაძლევაც ინგლისელებს შეუძლიათ. „არსენალის“ ახალწვეულზე, ალექსის სანჩესზე, რომელიც კლუბში ბარსელონადან გადავიდა, ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მან გუნდში ადაპტაცია შესანიშნავად გაიარა და მშვენივრადაც ასპარეზობს. მის ანგარიშზეა 9 გოლი და 5 საგოლე გადაცემა. შეხვედრები 25 თებერვალსა და 17 მარტს გაიმართება. პირველად მასპინძლის სტატუსით ინგლისელები იქნებიან.

დაძაბული და საინტერესო იქნება „იუვენტუსისა“ და „ბორუსია დორტმუნდის“ შეხვედრა. „იუვენტუსი“, რომელიც იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში, „სერია ა“-ში დამაჯერებლად ასპარეზობს და 39 ქულით პირველ ადგილზეა, „უეფას ჩემპიონთა ლიგის“ ჯგუფური ეტაპიდან გასვლა მეორე ადგილის მეშვეობით მოახერხა. მან მხოლოდ 1 ქულით აჯობა ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ და 1/16 ფინალის საგზური მოიპოვა. მეორე მხრივ, კარდინალურად განსხვავდება მეტოქის მდგომარეობა. გერმანელები საკუთარ ჩემპიონატში არასახარბიელოდ გამოიყურებიან. „დორტმუნდს“ 17 ჩატარებულ მატჩში მხოლოდ 15 ქულა აქვს და ცხრილის ბოლო ადგილოსანს მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. მიუხედავად ამისა, დორტმუნდის მთავარი მწვრთნელის, კლოპის შეგირდებმა „ჩემპიონთა ლიგა“ წარმატებით განვლეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ძალიან საინტერესო იქნება ამ ორი გუნდის ფეხბურთელებისა და მთავარი მწვრთნელების, მასიმო ალეგრისა და იურგენ კლოპის, დაპირსპირება, რომელსაც პირველად იუვენტუსის სტადიონზე 24 თებერვალს, ხოლო განმეორებით შეხვედრას კი გერმანიაში 18 მარტს ვნახავთ.

„დონეცკის შახტარისა“ და „მიუნხენის ბაიერნის“ ორთაბრძოლაში, ისევე როგორც „შალკე 04“-ისა და „მადრიდის რეალის“ დაპირისპირებაში, უდავოდ გამოკვეთილი ფავორიტები გვყავს. „ბაიერნიმ“ და „რეალმა“ ერთი ამოსუნთქვით გაიარეს „ჩემპიონთა ლიგის“ ჯგუფური ეტაპი. მათ ეროვნულ ჩემპიონატშიც კარგად აქვთ საქმე. ალბათ, ისღა დარჩენიათ, რომ რაც შეიძლება ნაკლები რესურსების გამოყენებით გავიდნენ შემდეგ ეტაპზე.

შედარებით დაბალანსებულია მორიგი გერმანული კლუბის, „ბაიერ ლევერკუზენისა“ და მისი ესპანური მეტოქის, „მადრიდის ატლეტიკოს“ თამაში. თუმცაღა ამ უკანასკნელს ბუკმეიკერები და საფეხბურთო სამყაროს ცნობილი წევრები უპირატესობას ანიჭებენ. „ატლეტიკოს“ ბოლო წლებში ევროტურნიზე თამაშის დიდი გამოცდილება დაუგროვდა. მას ჰყავს შესანიშნავი ფეხბურთელები და გუნდურობის განცდის მიმნიჭებელი თავკაცი, მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე, რომელიც „ფიფას“ „წლის საუკეთესო მწვრთნელის“ ნომინაციაზეა წარდგენილი. ცერემონია 2015 წლის იანვარში გაიმართება.

მეტად თანაბარი ორთაბრძოლა იქნება შვეიცარიის კლუბ „ბაზელსა“ და პორტუგალიურ „პორტოს“ შორის. მათ ჯგუფურ ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს - „პორტომ“ 14 ქულისა და პირველი ადგილის მოპოვება შეძლო, „ბაზელი“ კი ჯგუფში „მადრიდის რეალის“ შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა.

„ჩემპიონთა ლიგის“ მეთექვსმეტედ ფინალები, რომლებიც თებერვლის მეორე ნახევარში დაიწყება, მაყურებელთა ინტერესს ნამდვილად დააკმაყოფილებს. თუ ერთი მხრივ, გამოკვეთილი ფავორიტები, მაგალითად, „რეალი“ და „ბაიერნი“, ადვილად შეძლებენ შემდეგ ეტაპზე გადასვლას, მეორე მხრივ, წინ გველის ისეთი თამაშებიც, რომლებზეც წინასწარი პროგნოზის გაკეთება რთულია. „ჩელსი“ - „პსჟ“, „სიტი“ – „ბარსელონა“, „იუვენტუსი“ –„დორტმუნდი“, - ეს ის თამაშებია, სადაც გამარჯვებული მხოლოდ დიდი მონდომების, თავდადებისა და ბრძოლის ხარჯზე გამოვლინდება და შემდეგ ეტაპზე მხოლოდ საუკეთესო გადავა. ყოველივე ეს კი გვაძლევს დიდ იმედს, რომ სანახაობა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოუთმენლად ელიან, მეტად საინტერესო იქნება.

ვახტანგ მაზმიშვილი

17 წლის ძალოსანი

17 წლის ჯამბულათ (ჯაბა) ხოფერია სულ ახლახან ძალისმიერ სამჭიდში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ის ასევე გამოვიდა პროექტ „ნიჭიერის“ შესარჩევ ტურში და ჟიურისა და უამრავი ადამიანის აღფრთოვანებაც დაიმსახურა.

ჯაბა 1997 წლის 11 იანვარს ქალაქ თბილისში დაიბადა. ამჟამად სწავლობს 195-ე სკოლაში და დაკავებულია სპორტის ორი სახეობით: Powerlifting-ითა და Strongman-ით. მიუხედავად იმისა, რომ ჯაბა 17 წლისაა, მას უამრავი პრიზი აქვს მიღებული: 5-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი (2011 წ.-2-ჯერ; 2012 წ.-2-ჯერ; 2013); საქართველოს პრიზიორი დიდებში (2012 წ.); შავი ზღვის ქვეყნების ჩემპიონი (2014 წ.); მსოფლიო თასის პრიზიორი უძლიერეს მამაკაცთა შორის (2014 წ.); მსოფლიო რეკორდსმენი ძალისმიერ სამჭიდში (2014 წ.).

- ჯაბა, როდის დაიწყო შენი სპორტული კარიერა?

- პირველი ჩემი შეხება სპორტთან რაგბით დაიწყო. მამამ 7 წლის ასაკში მიმიყვანა, სტუდენტობის დროს თვითონაც დადიოდა და სურვილი ჰქონდა მე გამეგრძელებინა. ცხრა წელი ვიარე, ახლაც ვირიცხები უმაღლესი ლიგის გუნდ „აკადემიაში“, მაგრამ, ამ ეტაპზე, გარკვეული მიზეზების გამო, არ ვთამაშობ.

- რატომ გადაწყვიტე ძალისმიერ სამჭიდში გეცადა ბედი?

- ეს სპორტიც ბავშვობიდან მიზიდავდა, ჯერ მოყვარულის დონეზე ვვარჯიშობდი, შემდეგ ჩემმა პირველმა მწვრთნელმა, დავით გაბელაიამ, რომლის უზომოდ მადლიერი ვარ, შემომთავაზა მოვმზადებულიყავი საქართველოს ჩემპიონატისათვის. ამ პერიოდში დავამყარე საქართველოს რეკორდი ამოწევაში. ცოტა ხანში გადავედი სპარტაკ თაქთაქიძესათან. ვემზადებოდი ევროპის ჩემპიონატისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მივიღე ტრავმა და ვეღარ გავემგზავრე. ამის შემდეგ დამოუკიდებლად დავიწყე ვარჯიში.

- ახლა დამოუკიდებლად ვარჯიშობ თუ მწვრთნელთან ერთად?

- ჩვენ ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს, მაგრამ მე მასთან არ ვვარჯიშობ. უკვე ვიცი რა მჭირდება, ჩემს ორგანიზმსაც ჩემზე უკეთ არავინ იცნობს, ამიტომ, ვფიქრობ, დამოუკიდებლად ვარჯიში უფრო შედეგიანია ჩემთვის.

- როგორ პირობებში გიწევს ვარჯიში?

- საკმაოდ რთულ პირობებში. ჩვენი დარბაზი სამთო ქიმიის შენობაშია. მთელი დროის გატარება სიბინძურეში გვიწევს, თაგვებიც გვსტუმრობენ ხოლმე, თან არც სველი წერტილებია.

- სპორტის ამ სახეობის გამო საკმაოდ მძიმე ფიზიკური დატვირთვა გიწევს, მშობლები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?

- ამ მხრივ გამიმართლა. ჩემს ყველა გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ. არასდროს უთქვამთ საყვედური და არც ეშინიათ, რომ რამე დამიშავდება. ბევრს ვვარჯიშობ იმისთვის, რომ ჩემი ორგანიზმი მზად იყოს იმ სიმძიმეებისთვის, რისი აწევაც მიწევს.

- საზოგადოებამ „ნიჭიერიდან“ გაგიცნო, თან ამას უკრაინაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე შენი გამარჯვებაც დაემთხვა...

- კი, ნამდვილად ასე იყო. „ნიჭიერში“ გამოსვლა ჩემი ინიციატივა არ ყოფილა. მე ვარ „უძლიერეს მამაკაცთა“ (Strongman) ნაკრების წევრი, ჩვენი ნაკრებიდან ბიჭები ყოველ წელს გამოდიან სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის. წელს კი, ფედერაციის პრეზიდენტის თხოვნით, მე მივიღე მონაწილეობა. რაც შეეხება უკრაინას, 7-8 ნოემბერს საკუთარი ხარჯებით გავემგზავრეთ კიევში. დაგვეხმარა „აჭარაბეთიც“, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. ტურნირში 34 ქვეყანა მონაწილეობდა. საუკეთესო სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი შეერთებული შტატები, სკანდინავია და ბალტიისპირეთის ქვეყნები. რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, კარგად გამოვედი და ამოწევაში მსოფლიო რეკორდი მოვხსენი. წოლჭიმშიც ვაპირებდი მსოფლიო რეკორდის დამყარებას, მაგრამ ტექნიკური წონის გამო არ ჩამითვალეს.

- რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ გაგიცნო?

- ისეთი არაფერი, როგორიც ვარ სულ ისეთად დავრჩები. მეც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, როგორც ყველა, უბრალოდ, თავს მეტ კონტროლს ვუწევ, არ მინდა რამე შემეშალოს და ცუდად გავაკეთო. სოციალურ ქსელში ძალიან ბევრი ადამიანი მამატებს და მწერს, მეც, ჩემი მხრივ, ვცდილობ, უპასუხოდ არავინ დავტოვო. მიხარია ჩემ მიმართ კეთილგანწყობილები რომ არიან.

- მსოფლიო ჩემპიონი გახდი, რა სახის დაინტერესება მოჰყვა შენს წარმატებას სახელმწიფოს მხრიდან?

- ჯერჯერობით არავინ დაინტერესებულა, მაგრამ ახლა მიდის მოლაპარაკება თბილისის მერიასთან, ჯილდოებთან დაკავშირებით. თუმცა ეს ისევ ჩვენი ინიციატივით.

- როგორც ძალოსანს, სამომავლოდ რა გეგმები და მიზნები გაქვს?

- მომავალზე არ ვფიქრობ ხოლმე, ერთი დღით ვცხოვრობ და ეს ძალიან მეხმარება ყველაფერში. თუმცა მაქვს მიზანი, მინდა, მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი (World Strongest Man) გავხდე. ჯერ ამისთვის პატარა ვარ, ამიტომ დიდი დრო მაქვს ამ ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

ქეთი სარჯველაძე

„თავდაუზოგავი შრომა არის ერთადერთი საშუალება იმისა, რომ დიდ წარმატებას მივაღწიოთ“

„არასოდეს არ დანებდე!“ - ამ ერთმა, თითქოსდა ბანალურმა ფრაზამ გორელ სპორტსმენს შეაძლებინა 5 წლიანი წარუმატებლობის შემდეგ უამრავი გამარჯვებისთვის მიეღწია. უამრავი პირობითად, თორემ თვითონ ჯერ დიდ წარმატებაზე საუბარს ნაადრევს უწოდებს. ამბობს, რომ ყველაფერი ჯერ მხოლოდ წინაა. არადა, 23 წლის ასაკში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია, ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ოქროს მედლისა და დიდებში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელია. ვისთვის რა არის მწვერვალი, მაგრამ მისთვის ჩემპიონობის გზა, ახლა დაიწყო.

ეს ლადო ხინჩეგაშვილია. ბიჭი, რომელიც 8 წლის ასაკში ფინკაში გამოაწყვეს და ტატამზე შეუშვეს. არ ახსოვს, როდიდან გაუჩნდა სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული. მხოლოდ ის ახსოვს, რომ მამამისის კვალდაკვალ მანაც ვარჯიში დაიწყო.

„ჩემს ოჯახში შემორჩენილ ვიდეოებს რომ ვუყურებ, სულ ვჭიდაობ. არადა, თითქოს, ფეხბურთით უფრო ვიყავი დაინტერესებული, მოყვარულის დონეზე ვცურავდი კიდეც, მაგრამ ჭიდაობის სიყვარული პატარაობაში ასე არ მქონდა. ვთამაშობდი მანქანებითა და ჭიამაიებით. ბაღში სიარული არ მიყვარდა. მხოლოდ იმიტომ მივდიოდი, რომ ჩემი მეზობელი მუშაობდა, ამის გამო პრივილეგიებითაც კი ვსარგებლობდი. არ ვჭამდი წვნიანს და შუადღეს არ ვიძინებდი. ძალიან მორცხვი ვიყავი, იმდენად, რომ ხალხთან მისალმებისაც კი მრცხვენოდა. აბა, გოგოების სიყვარული ხომ წარმოუდგენელი იყო. სკოლაში ხულიგანი არ ვიყავი, ცელქი კი. თავიდან არ ვიპარებოდი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად ესეც დავიწყე. კარგად ვსწავლობდი, შესაბამისად, მასწავლებლებთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა“.

ლადოს თქმით, მას გარდატეხის ასაკი არ ჰქონია. იყო პატარა და მერე უცებ გახდა დიდი. აღნიშნავს დედის გავლენას მის წარმატებაზე, მაგრამ ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არავის აზრს არ ითვალისწინებს. ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და ასევე აპირებს გაგრძელებას. მწვრთნელთან რომ პროტესტის გრძნობა ხშირად უჩნდება, ამას თავის სიჯიუტეს აბრალებს.

„მწვრთნელის აზრი ჩემთვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ ვარჯიშის დროს არის რაღაც დეტალები, რომელზეც მეუბნება, რომ ასე არ გავაკეთო. მე კი ვფიქრობ, რომ ზუსტად ასეა საჭირო. ასეთი რამ ვარჯიშის დროს ხშირად ხდება, მაგრამ საბოლოოდ ურთიერთშეთანხმებამდე მაინც ყოველთვის მივდივართ“.

2007 წელს ვარშავაში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს იხსენებს, როგორც მის პირველ „გრანდიოზულ“ გამარჯვებას. წარუმატებლობაზეც საუბრობს, თითქოს გულისწყვეტით, მაგრამ გულახდილად და ყველანაირი შელამაზების გარეშე:

„წარუმატებლობა სულ მქონდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვარჯიში დავიწყე. 5 წლის მანძილზე საერთოდ უშედეგოდ ვჭიდაობდი. ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი ზუსტად ვარშავაში მოპოვებული პრიზის შემდეგ დაიწყო. მთელი წელი ჩავარდნა მქონდა, არადა უკვე ფავორიტად მიმიჩნევდნენ, მაგრამ ამან ფარ-ხმალი არ დამაყრევინა, პირიქით, შემმატა ძალა, რომ უფრო მალე მიმეღწია დასახული მიზნისთვის.

მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვისაც იმედები უცრუვდებათ - თავდაუზოგავი შრომა არის ერთადერთი საშუალება იმისა, რომ დიდ წარმატებას მივაღწიოთ“.

უამრავი ადამიანია დაკავებული სპორტით, ზოგი მოყვარულია, ზოგიც პროფესიონალი, ზოგს რა აქვს მიზნად დასახული, ზოგს რა, ბევრი შრომობს, მაგრამ მიზანს ერთეულები აღწევენ. შესაბამისად, არსებობს ლადოს წარმატების ერთი მიზეზი - იგი ყოველთვის საკუთარ თავში ეძებს პრობლემას და არასდროს არავის ადანაშაულებს.

2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე მსაჯების „შეცდომის“ შედეგად ლადო ფინალში დამარცხდა. ეს მხოლოდ გულშემატკივრების მიერ დანახული „შეცდომა“ არ იყო, ამ ფინალის შემდეგ ოლიმპიადაზე მსაჯების მთელი კომიტეტი მოხსნეს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, რომელიც შეიძლება ადამიანს ისე გამოეყენებინა, რომ ჟურნალ-გაზეთების ყდიდან დიდი ხნის განმავლობაში არ გამქრალიყო, მაგრამ ლადო ამ ფაქტს მხოლოდ ასე იხსენებს:

„ეტყობა, დავუშვი შეცდომა და მიზეზი მხოლოდ ჩემს თავში უნდა ვეძებო. ასე ამბობენ, მსაჯები მოხსნესო, რავიცი, მე პირადად არ მინახავს“.

ახალგაზრდა სპორტსმენი 8 წლის ასაკში დასახულ მიზანს 2016 წელს რიო დე ჟანეიროში ოლიმპიადაზე მიაღწევს.

ლადოზე საუბარი დიდხანს შეიძლება, მის თვისებებზე, ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე, წარმატების მიღწევის გზებსა და იმ მომენტებზე, როცა, თითქოსდა, სპორტის ამ სახეობით იღლებოდა. საუბრისას ლადოს ვთხოვე საკუთარი თავი 3 სიტყვით დაეხასიათებინა. არ ვიცი ეს თავმდაბლობაა თუ პასუხისგან თავის არიდება, მაგრამ მან საუბრის ბოლოს მითხრა, ეს მე თვითონ გამეკეთებინა. მე ასე ვიტყოდი - ლადო ჯიუტი, მიზანდასახული და ადამიანურია.

თიკო ლევანიშვილი

ბარაკ ობამა გავრცელებულ ჭორებს უარყოფს

ვაშინგტონში, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, უარყო გავრცელებული ჭორები, რომ ამერიკა არ აპირებს გაახლოს დიპლომატიური ურთიერთობები კუბასთან.

18 თვიანი მოლაპარაკებები, რომელიც რომის პაპის, ფრანცისკეს, დახმარებით მიმდინარეობდა, შეთანხმებით დასრულდა. ბარაკ ობამამ და რაულ კასტრომ, დიპლომატიური ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყება გადაწყვიტეს.

"ამერიკის შეერთებული შტატები, ცვლის ურთიერთობას კუბელ ხალხთან, რაც ბოლო 50 წლის განმავლობაში, ჩვენს პოლიტიკაში პირველად ხდება. ჩვენ ვიწყებთ ურთიერთობების ნორმალიზებას ჩვენს ქვეყნებს შორის. ვავალებ ჯონ ქერის, დაიწყოს მოლაპარაკებები კუბურ მხარესთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისთვის," - აცხადებს ამერიკის პრეზიდენტი.

ობამამ, თავის საუბარში ხაზი გაუსვა იმას, რომ მისმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ განვითარებას და თვალსაჩინო გახადა აშშ-ს რეპუტაცია მთელ მსოფლიოში. მან აჩვენა, რომ შეუძლია ყველაზე რთულ გამოწვევებთან ბრძოლა, მათ შორის, იგულისხმება ისლამური დაჯგუფებები, ებოლას ეპიდემია და არასრულწლოვანთა მასობრივი მიგრაცია ცენტრალური ამერიკიდან.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ მას დიდი სამუშაო აქვს კონგრესთან. მან კუბის მისამართით დაწესებული ემბარგოს საკითხი უნდა განიხილოს. ამასთან, გადაიდგმება ნაბიჯები ტურისტული და ეკონომიკური ურთიერთობების გასავითარებლად.

კუბისა და ამერიკის იდეოლოგიური მტრობა 1959 წლიდან, მოქმედი პრეზიდენტის, რაულ კასტროს ძმის, ფიდელ კასტროს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იწყება. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა, დუაიტ ეიზენჰაუერმა, კუბას პირველი ეკონომიკური ემბარგო 1960 წელს დაუწესა; ჰავანასთან დიპლომატიური ურთიერთობა კი, 1961 წლის იანვარში გაწყვიტა. რამდენიმე თვით ადრე, სანამ ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი, ბარაკ ობამა დაიბადებოდა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, კუბასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, კუბის მიერ, ალენ გროსის დაპატიმრება აფერხებდა, რასაც პრეზიდენტმა „უმთავრესი დაბრკოლება“ უწოდა. 65 წლის გროსის გათავისუფლებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რომის პაპმა ფრანცისკმა. გროსი კუბაში 2009 წლის 3 დეკემბერს დააპატიმრეს,მას აკრძალული ტექნოლოგიის იმპორტი ედებოდა ბრალად და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

ობამას თქმით, კუბასთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე მუშაობა, უკვე დაავალა ამერიკის სახელმწიფო მდივანს, ჯონ კერის. ობამამ, ქვეყნის საგარეო უწყებას დაავალა, გადაიხედოს კუბის, როგორც ტერორიზმის დამფინანსებელი ქვეყნის სტატუსი:“ამ სტატუსის გადახედვისას, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ფაქტებით და კანონებით.“-განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა, ხაზი გაუსვა მისი და კასტროს მეგობრულ და კეთილგანწყობილ მომენტებს, სატელეფონო საუბრის განმავლობაში.

მას შემდეგ, რაც ბატონმა ობამამ, ბოდიში მოიხადა ასეთი ხანგრძლივი სატელეფონო საუბრისთვის, ბატონმა კასტრომ, უპასუხა: “თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ და ჯერ კიდევ გაქვთ შანსი, ჩემი ძმის რეკორდი მოხსნათო”. ფიდელს ერთხელ, 7 საათის განმავლობაში, შეუსვენებლად უსაუბრია.

აშშ მზადაა კუბაზე შეზღუდვები შეამსუბუქოს. ეს შეეხება მოგზაურობას, საბანკო ურთიერთობას, ფულადი ამანათების გაგზავნას. კუბა კი, 53 ადამიანს გაათავისუფლებს, რომლებსაც აშშ პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევს.

რაულ კასტრომ, სატელევიზიო მიმართვის დროს, აქცენტი, აშშ-ს მიერ დაწესებული ემბარგოს მოხსნაზე გააკეთა:“ჩვენ შევძელით, ორივე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული საკითხები გადაგვეჭრა. პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილება, იმსახურებს პატივისცემას და ჩვენი ხალხის აღიარებას. თუმცა, ეს არ ნიშნავს რომ გადაჭრილია უმნიშვნელოვანესი საკითხები. ეკონომიკური, სავაჭრო და ფინანსური ბლოკადა, რომელიც ,უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენ ქვეყანას, უნდა მოიხსნას.“

ობამას ეს გადაწყვეტილება, უკვე გააკრიტიკეს რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა. მათ შორის არიან, სენატორები: მარკ რუბიო და ტედ კრუიზი. მათ მიღწეულ შეთანხმებას, „ძალიან, ძალიან ცუდი გარიგება“ უწოდეს. რესპუბიკელებმა, ნათლად მიანიშნეს, რომ მხარს არ დაუჭერენ, 54 წლის წინ, ამ ქვეყნის მისამართით დაწესებული ემბარგოს მოხსნას:“დღეს გამოცხადებული პოლიტიკა, დაფუძნებულია ილუზიაზე და სიცრუეზე“ ეს ყველაფერი, კასტროს რეჟიმს, რომელიც კუბელების ცხოვრების ყველა ასპექტს აკონტროლებს, მისცემს შესაძლებლობას, გამოიყენოს ეს ცვლილება, ხელისუფლების სამუდამოდ შესანარჩუნებლად.“-განაცხადა რუბიომ, რომელიც კუბელი მიგრანტების შვილია.

ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა, მხარი დაუჭირა ობამას ამ ნაბიჯს:“ათეულობით წლების იზოლაციის პოლიტიკამ, კასტროს რეჟიმის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება, მხოლოდ გააძლიერა.“-განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

აშშ-ს გეგმას კუბასთან ურთიერთობების ნორმალიზების შესახებ, უკვე მიესალმნენ გაერო და ვატიკანი.

ანანო ჯიღაური

თავდასხმა პაკისტანში და 148 გარდაცვლილი

თავდასხმა მოხდა პაკისტანის ქ. ფეშავერის სამხედრო სკოლაში 2014 წლის 16 დეკემბერს. მომხდარზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა მოძრაობა „თალიბანმა“ იკისრა.

„ბიბისის“ ცნობით, სკოლაში 7 შავებში ჩაცმული შეიარაღებული მებრძოლი შეიჭრა, სკოლა დაიკავა და ცეცხლი გახსნა. საპასუხოდ, ადგილობრივმა არმიამ სკოლის გათავისუფლების მიზნით შენობას ალყა შემოარტყა. ბრძოლა 8 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

სპეცოპერაციის შედეგად, პაკისტანის არმიამ „თალიბანის“ შვიდივე წევრის ლიკვიდაცია და 500-მდე მოსწავლის ევაკუირება შეძლო, თუმცა მსხვერპლი კვლავ დიდია - დაიღუპა 148 ადამიანი, მათ შორის 132 ბავშვი და დაიჭრა 125 ადამიანი. დაღუპულებს შორისაა 2 წლის ბავშვიც, რომელიც სკოლაში შემთხვევით იმყოფებოდა. გამნაღმველებმა სამხედრო სკოლის ტერიტორია შეამოწმეს, თუმცა შენობასა და მის შემოგარენში ნაღმები არ აღმოჩნდა. ამჟამად პაკისტანში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული.

თავდასხმაზე ინფორმაცია ჟურნალისტებს პახტუნხვის პროვინციის პრემიერმინისტრმა, ფერვეზ ხატაკმა გააცნო:

„დღეს, დაახლოებით 11 საათზე, 10-მდე ტერორისტი შეიჭრა არმიის საჯარო სკოლაში. ისინი ცეცხლსასროლი იარაღით ისროდნენ და განურჩევლად ყველას ხოცავდნენ. ჩვენი მონაცემებით, 140-ზე მეტი ადამიანია მოკლული, აქედან უმეტესობა სამხედრო სკოლის მოსწავლეა. დაიჭრა 120-ზე მეტი ადამიანი. ქალაქის ყველა საავადმყოფო მობილიზებულია და დაჭრილებს იღებს“, - განაცხადა ფერვეზ ხატაკმა.

თავდასხმის თვითმხილველი სამხედრო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ებადი გახდა. ებადი ექსტრემისტების თავდასხმას გადაურჩა:

„დღეს დილას, დაახლოებით 10 საათზე, აუდიტორიაში გაგვიყვანეს, ჩვენი არმიის მეთაურს პირველადი დახმარების გაკვეთილები უნდა ჩაეტარებინა. რომ შევედით, უცებ სროლა ატყდა და შავებში ჩაცმული შეიარაღებული კაცები შემოგვეჭრნენ. მე 4 ან 5 მებრძოლი დავინახე, თუმცა ამბობენ, შვიდნი იყვნენო. ბევრი ბავშვი დახოცეს და ბომბებიც ააფეთქეს. მხოლოდ მე 50-მდე ადამიანი მაინც დავინახე, ისინი ძირს იწვნენ და სიკვდილს ებრძოდნენ“, - იხსენებს ებადი.

თავდასხმისას დაღუპულთა დაკრძალვის ცერემონია იმავე ადგილას, ქალაქ ფეშავერში გაიმართა. ცერემონიაში მონაწილეობას ქვეყნის პრემიერი ნავაზ შარიფიც იღებდა. „როიტერის“ ცნობით, მან განაცხადა, რომ ამჟამად ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ტერორიზმის ამოძირკვაა და რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ მიზნის მისაღწევად. შარიფის თქმით, მინისტრთა კაბინეტი უკვე ადგენს სამოქმედო გეგმას, თუ როგორ გაანადგუროს ექსტრემისტები. იგი, ამასთანავე, იწვევს პარლამენტის საგანგებო სხდომას, რომელიც რეგიონში უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს. აღსანიშნავია, რომ შარიფმა ასევე გააუქმა მორატორიუმი სიკვდილით დასჯის თაობაზე, რომელიც პაკისტანში 6 წლის განმავლობაში ქმედითი იყო.

განცხადებას პაკისტანის არმიის პრესსპიკერიც ავრცელებს და მოსახლეობას აუწყებს, რომ „თალიბანის“ წინააღმდეგ, ავღანეთის დახმარებით, იგეგმება ერთობლივი სამხედრო ოპერაცია და, რომ ავღანეთისა და პაკისტანის ხელისუფლებამ შეთანხმებას უკვე მიაღწია.

მომხდარს გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც. სამინისტრო გმობს სკოლაზე მომხდარ თავდასხმას და უსამძიმრებს პაკისტანის მოსახლეობას:

„უმკაცრესად ვგმობთ 2014 წლის 16 დეკემბერს ქ. ფეშავერის სამხედრო საჯარო სკოლაში განხორციელებულ შემზარავ ტერორისტულ აქტს, რომელსაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვეპლა. ჩვენ შეძრწუნებულნი ვართ ტრაგედიის მასშტაბითა და ტერორისტთა მხრიდან ჩადენილი ბარბაროსობით. ეს წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს მთლიანად ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ. ამ წუთებში ჩვენ ვდგავართ პაკისტანელი ხალხის გვერდით და ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს“, - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავდასხმაზე პასუხისმგებლობის აღების შემდეგ, თავის მხრივ, „თალიბანმაც“ გაავრცელა განცხადება. გზავნილი იუწყება, რომ ის, რაც სამხედრო სკოლაში მოხდა, ერთგვარი პასუხია პაკისტანის არმიის ჩრდილო ვაზისტანსა და ჰიბერში განხორციელებულ ქმედებებზე.

ნანა გობეჯიშვილი

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს სანქციები გაუმკაცრა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 19 დეკემბერს რუსეთის მიმართ გაამკაცრა სასაქონლო ემბარგო ყირიმის ნახევარკუნძულზე და ახალი სანქციები დაუწესა სეპარატისტულ ლიდერებს აღმოსავლეთ უკრაინაში.

ობამამ განაცხადა, რომ გასცა ბრძანება, რომელიც კრძალავს საქონლის, ტექნოლოგიებისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს ყირიმში, ასევე ახალ ინვესტიციებს. წარმომადგენლობითი პალატის წევრ ჯონ ბეიენთან გაგზავნილ წერილში ობამამ დააზუსტა, რომ კანონი ეხება არა მხოლოდ ყირიმში არსებულ ან მასზე ორიენტირებულ კომპანიებს, არამედ მასთან ნებისმიერი სახით დაკავშირებულ ბიზნესს. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი ქმედება განპირობებულია რუსეთის მიერ უკრაინის ანექსიის მცდელობით და დაამატა, რომ აშშ არ შეეგუება უკრაინის ოკუპაციას.

ბარაკ ობამას ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე რუსეთთან დაკავშირებით ევროკავშირსაც მსგავსი გეგმები ჰქონდა. ამით ცხადი გახდა, რომ მოკავშირეებს საკითხისადმი ერთსულოვანი დამოკიდებულება აქვთ, „მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, მათ შორის გაუგებრობა შეიქმნას“,- აკონკრეტებს „New York Times“. რუსეთში ვალუტის კურსის დაცემა ევროკავშირისა და აშშ-ს შემოღებულ შეზღუდვებს უკავშირდება. გამოცემის აზრით, ეს წინა სანქციებითა და ეკონომიკური იზოლაციითაა გამოწვეული, რაც დაფუძნებულია ნავთობის ფასის დაცემაზე.

ამ წლის ახალი შეზღუდვები, ზოგიერთ წინა სანქციასთან შედარებით, ნაკლებად ეფექტურია. ამის გამო, შესაძლოა, ნაკლები გავლენა იქონიოს. თუმცა ამერიკის ოფიციალური პირები მიიჩნევენ, რომ ეს მაინც ერთგვარი შეტყობინება იქნება რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიმართ. შეტყობინება აჩვენებს, რომ დასავლეთი პასიური არ არის.

ამერიკის უფროსმა ადმინისტრაციულმა წარმომადგენელმა, რომელმაც ანონიმურობა მოითხოვა, სტრატეგიის განხილვისას ასეთი ახსნა შემოგვთავაზა:

„ძირითადად, ეს ნიშნავს, რომ, შესაძლოა, მიისაკუთროთ ომის შედეგად მოპოვებული პრიზი (იგულისხმება ყირიმი), მაგრამ ჩვენ ისე ვიმოქმედებთ, რომ პროცესმა თქვენთვის მარტივად არ ჩაიაროს და ამად არ გიღირდეთ“.

სხვა ოფიციალური პირების განმარტებით, გარე ინვესტიციების გარეშე მოსკოვი იძულებული იქნება, დახარჯოს მეტი საკუთარი ფული ნახევარკუნძულის ფუნქციონირებისთვის.

ბარაკ ობამამ ეს ნაბიჯი კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის მომდევნო დღეს გადადგა. ცვლილებები რუსეთის წინააღმდეგ სადამსჯელო სანქციების განხორციელების მეტ უფლებამოსილებას იძლევა. თუმცა თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადებით, პრეზიდენტს ახალი კანონით მინიჭებული ძალაუფლების გამოყენება წინასწარ არ დაუგეგმავს.

ზოგიერთ რუსულ ინტერნეტგამოცემაში შეერთებული შტატების პრეზიდენტის ქმედებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. გამოცემა „РИА Новости“-ს ჟურნალისტს, ალექსი ზოგდანოვსკის მისი განმარტება აინტერესებს, თუმცა ამატებს, რომ ლოდინი დიდხანს, 4 იანვრამდე მოუწევს, რადგან მანამდე ბარაკ ობამა საახალწლო შვებულებას ჰავაიზე გაატარებს, ახალ სანქციებს კი ხელი ვაშინგტონიდან გაფრენამდე საათ-ნახევრით ადრე მოაწერა.

ალექსი ზოგდანოვსკი რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს შეერთებული შტატების კუბასთან ურთიერთობას უკავშირებს. მისი აზრით, კუბისთვის ნახევარსაუკუნოვანი ემბარგოს მოხსნა მოულოდნელი იყო. იმავე დღეს ობამამ ხელი მოაწერა „უკრაინის თავისუფლების მხარდამჭერ აქტს“, რომელიც სანქციების გამკაცრების უფლებას აძლევს.

„РИА Новости“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ობამას ქმედებები მის სიტყვებს ეწინააღმდეგება. ხუთშაბათს მან განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით არ გეგმავს არავითარი სანქციების შემოღებას. ასევე თქვა, რომ თუ რუსეთი ვაშინგტონთან დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად იმოქმედებს, მაშინ არსებულ სანქციებსაც შეასუსტებს. ამის შემდეგ რუსეთის პოლიტიკაში ცვლილება არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, მომდევნო დღის მეორე ნახევარში სანქციები გამკაცრდა და ყირიმი, ფაქტობრივად, ეკონომიკურად დაბლოკილი აღმოჩნდა.

რუსეთს სანქციებზე რეაქცია ექნება, თუმცა სამომავლო გეგმები ჯერ ბუნდოვანია:

„ვაშინგტონის მტრულ ქმედებებს რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ. გადაწყვეტილებებს სავარაუდო საპასუხო ქმედებებზე იქიდან გამომდინარე მივიღებთ, თუ როგორ გამოიყენებს ახალ კანონს შეერთებული შტატები პრაქტიკაში“, - ნათქვამია რუსეთის საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის კომენტარში.

ქეთევან დავითაშვილი

ახალი წლის თბილისის კონტრასტები





მთავარი რედაქტორი: ზაზა ნიკოლოზიშვილი
ნომრის რედაქტორი: მარიამ ჩიბუხაია
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი გოგბერაშვილი
დამკაბადონებლები: ირაკლი დარჩიაშვილი, იოანე პაპიაშვილი
სტილისტ – კორექტორები: ნინო ბინიაშვილი, ნათია ნასყიდაშვილი, ირინე მეშვილდიშვილი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე

ფოტორეპორტაჟი: ტატა ნაკანი